შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **მარიამ ჯღუთაშვილი**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი **ნუგზარ თევდორაძე**

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია----------4

Annotation----------5

შესავალი----------6

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა----------9

თავი II. ნარკოტიკულ დანაშაულთა საკანონმდებლო მიმოხილვა----------13

2.1. საერთაშორისო კანონმდებლობა----------13

2.2. ნარკოდანაშაულთა რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით----------15

თავი III. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (ქმედების შემადგენლობა)----------18

3.1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა----------21

3.2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა----------33

თავი IV. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვის მაკვალიფიცირებელი გარემოებები---------35

4.1. დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჩადენილი ქმედება----------35

4.2. ქმედება, ჩადენილი ჯგუფის მიერ და ორგანიზებული ჯგუფის მიერ----------37

4.3. ქმედება ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით--------39

4.4. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი ქმედება----------40

4.5. არაერთგზის ჩადენილი ქმედება და იმის მიერ ჩადენილი ქმედება, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ნარკოდანაშაულთა თავში გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული----------41

თავი V. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით----------44

5.1. რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მაგალითი----------46

5.2. უკრაინის რესპუბლიკის კანონმდებლობის მაგალითი----------49

VI. კვლევის შედეგები----------54

დასკვნა ----------56

გამოყენებული ლიტერატურა ----------58

ანოტაცია

თემის მიზანია სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი საინტერესო, 264-ე მუხლის, რომელიც ნარკოდანაშაულთა თავში შემავალი და ნარკოდანაშაულებისგან განსხვავებული ნორმაა, განხილვა სიღრმისეულად, ამ ნორმის უპირატესობების და ბუნდოვანი მხარეების წარმოჩენა და შედარება საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ნორმებთან.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია იმ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელთა გაცნობა და დამუშავება აუცილებელი იყო საკვლევ თემაზე მუშაობისას. მეორე თავი ეთმობა საკანონმდებლო მიმოხილვას ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებით. ქმედების შემადგენლობა დეტალურად არის განხილული ნაშრომის მესამე თავში. იქვე მოყვანილია მაგალითები და სასამართლოს განაჩენებში გაკეთებული განმარტებები თითოეული ნიშნის უკეთ გააზრების მიზნით. მეოთხე თავში განსახილველი ნორმის მაკვალიფიცირებელი გარემოებები არის განხილული, რომლებიც მეტი საზოგადოებრივი საშიშროებით გამოირჩევა და ქმედების ობიექტს დამატებით საფრთხეს უქმნის. საზღვარგარეთის კანონმდებლობა, მათი შიდასახემწიფოებრივი მიდგომები ზოგადად ნარკოდანაშაულთან და კონკრეტულად ჩემი საკვლევი თემის გარშემო განხილული არის ნაშრომის მეხუთე თავში. იქვე მოყვანილია რამდენიმე ქვეყნის მაგალითი და შედარება ქართულ კანონმდებლობასთან, საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, შესავალს, ძირითად თემას, კვლევის შედეგებს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

The aim of topic is to discuss in depth one of the most interesting articles of the Criminal Code, Article 264, which is a norm in the chapter on drug offenders and different from drug crimes, and to compare the vague aspects with the relevant norms of foreign countries.

The first chapter of the paper discusses the literature that was necessary to identify and process when working on the research topic. The second chapter is devoted to a legislative review of drug offenses. The composition of the action is discussed in detail in the third chapter of the paper. Examples and explanations of court rulings are given in order to better understand each sign. The fourth chapter discusses the qualifying circumstances of the norm under consideration, which are more socially dangerous and pose an additional threat to the object of action. Foreign legislation, their domestic approaches to drug crime in general, and specifically around my research topic are discussed in Chapter Five of the paper. There are examples of several countries and comparisons with Georgian legislation and research topics.

The paper includes an annotation, introduction, main topic, research results, conclusion and a list of used literature.

შესავალი

ნარკომანია მსოფლიო პროგრესული საზოგადოების შავ ჭირს წარმოადგენს. განვითრებული ქვეყნებიც კი ვერ ახერხებენ გაუმკლავდნენ და წინ აღუდგნენ დაავადებას, რომელსაც ნარკომანია ჰქვია.

ადამიანი ნარკოტიკულ საშუალებას უძველესი დროიდან იცნობს. კანაფის არსებობის თაობაზე ჯერ კიდევ ჰეროდოტე გვაწვდის ცნობებს ქრისტეს შობამდე V საუკუნეში, სკვითების ტომობრივი გაერთიანების აღწერის დროს. უფრო ძველია ყაყაჩოს წარმომავლობა - იგი ნეოლითური ხანიდანაა ცნობილი. კოკას არსებობის ისტორიაც ქრისტესშობამდე VIII საუკუნიდან მოდის.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ შორი წარსულიდან იცნობს კაცობრიობა ამ მცენარეებს, თუმცა სხვადასხვა ხალხებს განსხვავებული მიდგომა გააჩნდათ მათდამი. ზოგი მათ იცნობდა,როგორც „სიხარულის მცენარეებს“, ზოგნი კი მათ სამკურნალოდ იყენებდნენ. ეს მცენარეები: კანაფი, ყაყაჩო და კოკა არის ბუნებრივი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი ყველაზე გავრცელებული მცენარეები, რომელთა დამუშავების შედეგად სხვადასხვა სახის ნარკოტიკულ საშუალებას ღებულობდნენ.

კანაფი და ყაყაჩო საქართველოშიც ითესებოდა, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ მხოლოდ მათი კარგი თვისებები. ნარკოტიკი, როგორც გამაბრუებელი საშუალება, უფრო სპარსელებმა და არაბებმა შემოიტანეს. საქართველოს ისტორიაში ცნობილია, რომ ზოგიერთი ქართველი მეფე ღებულობდა ე. წ. „თრიაქს“.

ნარკომანიის პრობლემა საქართველოში XX საუკუნის 50-იან წლებში გამოიკვეთა, მაშინ, როდესაც საზოგადოებას შერყეული ჰქონდა რწმენა და დაიწყო სუსტი ნებისყოფის ადამიანთა ლტოლვა ნარკოტიკებისადმი.[1]

ნარკოტიკის მომხმარებელი გვევლინება ყველა სოციალური ფენიდან და ეს არ არის მხოლდ ელიტარული საზოგადოების პრობლემა. არასწორი იქნება იმის ვარაუდი, რომ რადგან ნარკოტიკული საშუალებები საკმაოდ ძვირი ღირს, მათი ყიდვაც მხოლოდ შეძლებული საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენლებიც მას არანაკლები სიხარბით ეწაფებიან.

თუ პირმა ერთხელ მაინც მიიღო ნარკოტიკული საშუალება ან ფსიქოტროპული ნივთიერება და შეიგრძნო თავის ფსიქოლოგიურ განწყობაში რადიკალური ცვლილებები ენერგიის

[1]გ. ლობჟანიძე, ,,საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა“, საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2002, გვ. 48;

მოზღვავებისა და მხიარული განწყობის მიმართებაში, შემდგომში მისი მიღება პიროვნებაში განუწყვეტლივ იწვევს ფიზიოლოგიურ მოთხოვნას ახალი და გაზრდილი დოზითაც[2].

პირის მიერ რამდენჯერმე ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების მიღება თანდათანობით მის მოთხოვნილებად იქცევა და მან უკვე აღარ იცის ზღვარი ქონებასა და უქონლობას შორის, ყველა ხერხითა და საშუალებით, მათ შორის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ცდილობს მიიღოს მისთვის საჭირო დოზა ნარკოტიკული ნივთიერებისა და ამ მძიმე, თითქმის განუკურნებელი ავადმყოფური სენისგან თავის დაღწევა მას უკვე აღარ ძალუძს იძულებითი სამკურნალო საშუალებების გამოყენების გარეშე.

ნარკოტიკის მომხმარებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო ნარკოტიკული საშუალების შესაძენად უკვე აღარ იშურებს საკუთარი ოჯახის დანაზოგს, ოჯახიდან ფარულად ან აშკარად გააქვს ძვირფასი ნივთები და პირდაპირ გადაცვლას ახდენს ნარკოტიკულ ნივთიერებაში და წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში არ ერიდება საკუთარი ოჯახის წევრების და ახლო ნათესავების მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებას და მათ ლიკვიდაციასაც კი.[3] ეს ეხება არამხოლოდ ოჯახის წევრებს. თუკი პირი ვერ იყიდის მისთვის სასურველ ნივთიერებას, შესაძლოა მან მიმართოს სხვა ხერხებს ამ ნივთიერების დასაუფლებლად. ასეთია, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების მოპარვა, ძარცვის გზით მოპოვება, ყაჩაღური ან თაღლითური ხერხით მისაკუთრება, მითვისება ან მუქარის საშუალებით გამოძალვა. ყოველივე ჩამოთვლილი ხერხი მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთრებით ურთიერთობებთან.

თემის აქტუალობა. თემის აქტუალობა სწორედ გამომდინარეობს იქიდან, რომ განსახილველ ნორმას სხვა ნორმებთან აქვს შემხებლობა და საინტერესოა მათი მსგავსების და განსხვავების წარმოჩენა. ასევე, საინტერესოა ამ ნორმის გამიჯვნა ნარკოდნაშაულთა თავში მოცემული ნორმებისგან და სასჯელების შედარება, თუ რამდენად შესაბამისია სასჯელი დისპოზიციაში განსაზღვრულ ქმედებასთან. თემას აქტუალურს ხდის, ასევე, ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი, რაც საეჭვოდ დაბალია და, საინტერესოა, პასუხობს თუ არა რეალობას?

კვლევის მიზანი. კვლევის მიზნია შიდასახელმწიფოებრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გამოვკვეთო დადებითი და ბუნდოვანი მხარეები ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 264-ე მუხლთან დაკავშირებით.

კვლევის ამოცანა. კვლევის ამოცანაა საქართველოს სსკ-ის 264-ე მუხლის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის სიღრმისეული გაანალიზება, ასევე, ამ მუხლის დამამძიმებელი

[2] შ. ფაფიაშვილი, ,,კრიმინალისტიკა“ (განსაკუთრებული ნაწილი), თბ., 2013, გვ. 454.
[3] იქვე, გვ. 456;

გარემოებების განხილვა, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში მსგავსი ნორმების მოძიება და განხილვა და შედარება საქართველოს სსკ-ის 264-ე მუხლთან

კვლევის მეთოდები. ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ნორმატიული კვლევის მეთოდი, რაც დამეხმარა ზოგადად ნარკოდანაშაულების სისტემურ გაანალიზებაში. ასევე, გამოვიყენე ისტორიული კვლევის მეთოდი ნარკოტიკული საშუალებების წარმოშობასთან და შემდეგ ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული ქმედებების კრიმინალიზაცისთან დაკავშირებით. შედარებითი კვლევის მეთოდი გამოვიყენე უცხოური და ქართული კანონმდებლობების შედარების და დასკვნების გამოტანისას. სტატისტიკური კვლევის მეთოდი გამოვიყენე საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნებში ნარკოდანაშაულების მაჩვენებლის კვლევისას.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას გაანალიზებულ იქნა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები. გავეცანი ზოგადად ნარკოდანაშაულის პრობლემას სიღრმისეულად, ასევე, დავამუშავე საკუთრებითი ურთიერთობები.

გავეცანი გაერო-ს კონვენციებს ნარკოტიკულ საშუალებათა, ფსიქოტროპულ ნივთიერებათა და მათი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. სწორედ აღნიშნული კონვენციები აძლევს ხელმომწერ სახელმწიფოებს საშუალებას სწორად და ეფექტურად წარმართონ თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი ნარკოპოლიტიკა. კონვენციებში მოყვანილია იმ ნივთიერებათა ფართო ნუსხა, რომლებიც თავისუფალი ბრუნვისთის აკრძალულია. საქართველოც ერთ-ერთი ხელმომწერია ამ კონვენციების და სრულად იზიარებს მათ შინაარსს.

დეტალურად გავეცანი ქართულ კანონმდებლობას ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებით, რამაც ამომწურავად შემიქმნა წარმოდგენა, თუ როგორ მუშაობს ქართული სამართალი მსგავსი ხასიათის დანაშაულებთან მიმართებით. კანონები, რომლებსაც მე გავეცანი, არის ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", საქართველოს კანონი ,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", ,,ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც სიახლეა ქართულ სამართალში, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონი.

იმის დასადგენად, თუ როგორია ნარკოვითარება საქართველოში, გავეცანი მთავარი პროკურორის წლიურ ანგარიშებს, რომლებშიც დაწვრილებით არის აღწერილი ნარკოდანაშაულები რიცხვებში, ასევე, გატარებული ღონისძიებები ნარკომანიასთან ბრძოლის შესახებ. ამ ანგარიშებიდან გამოვარკვიე, რომ სსკ-ის 264-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე ძალიან დაბალია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი.

დანაშაულის შემადგენლობის სრულფასოვანი გაანალიზებისთვის გავეცანი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის რამდენიმე სახელძღვანელოს. ძირითადი დებულებები მსგავსად არის განმარტებული ყველა სახელმძღვანელოში, თუმცა, ზოგიერთ საკითხზე ავტორები სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამენ და მომეცა საშუალება მათი შეჯერებით გამომეტანა დასკვნები. სუბიექტურ შემადგენლობაზე მუშობისას გავეცანი მერაბ ტურავას ,,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა"-ს, მეშვიდე და მეცხრე გამოცემებს, რომლებიც ავსებს ერთმანეთს და სიღრმისეულად განავრცობს სუბიექტური შემადგენლობის თითოეულ ნიშანს.

ასევე, მნიშვნელოვანი განმარტებები მოვიძიე ა. გაბიანის და სხვათა თანაავტორობით შედგენილ სახელმძღვანელოში ,,სისხლის სამართლის ზოგდი ნაწილი“; ოთარ გამყრელიძის ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“; მალხაზ ლომსაძის ,,საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“; ა. შენგელიას და თ. დოლიძის ,,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო)“; მ. ლეკვეიშვილის, ნ. თოდუას, გ. მამულაშვილის ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი”,წიგნი I. ეს სახელმძღვანელოები დამეხმარა როგორც სუბიექტური ასევე ობიექტური ნიშნების განმარტებისას, ასევე, მაკვალიფიცირებელ გარემოებებზე მუშაობისას, ასევე, სსკ-ის 264-ე მუხლისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ თავში გათვალისწინებული დანაშაულების შედარებისას.

კონკრეტულად ნარკოდანაშაულებზე მუშაობისას გავეცანი სოფო ალავიძის და სხვათა თანაავტორობით გამოცემულ 2013 წლის წლიურ ანგარიშს ,,ნარკოვითარება საქართველოში“, სადაც აქცენტი გაკეთებულია უფრო წამალდამოკიდებულთა მკურნალობა/პრევენციაზე, ასევე მიმოხილულია კანონმდებლობა და ეროვნული სტრატეგიები ნარკოდამოკიდებულებთან მიმართებაში. საინტერესო იყო თამარ გეგელიასა და სხვათა თანაავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო ,,ნარკოტიკული დანაშაული“, სადაც მოცემულია ბაჩანა ჯიშკარიანის კომენტარები ნაშრომის საკვლევ თემასთან დაკავშირებით, და სადაც ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ 264-ე მუხლის შესაბამისი საჯელი შეუსაბამო და არაპროპორციულია და შედარებას აკეთებს 260-ე მუხლთან.

სამართლის ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებული ნონა თოდუას სტატია ,,ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა“ უშუალოდ ეხება ჩემს საკვლევ თემას, იმ განსხვავებით, რომ დისპოზიციაში ნახსენები არ არის ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ვინაიდან აღნიშნული სტატია გამოცემულია 2003 წელს და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნების ჩამონათვალს მხოლოდ 2014 წელს მიღებული კანონით დაემატა. ავტორი დეტალურად განიხილავს ნორმის შემადგენლობას და პარალელებს ავლებს მსგავსი ხერხებით ჩადენილ დანაშაულებთან.

გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალში გამოქვეყნებული ირაკლი დვალიძის სტატია ,,ნარკოტიკული დანაშაულის საგანი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით“ ზუსტად განმარტავს ნარკოტიკულ დანაშაულებში დანაშაულის საგნებს და მათ ოდენობებს, ასევე განხილული აქვს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ნარკოდანაშაულის საგნის

ოდენობებთან დაკავშირებით, წარმოჩენილი აქვს ქართული ნარკოკანონმდებლობის უარყოფითი მხარეები და შემოთავაზებული აქვს რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება.

გ. ნაჭყებიას და სხვების თანაავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში ,,ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“ და გივი ლობჟანიძის სახელმძღვანელოში ,,საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა“, განხილულია საერთოდ ორგანიზებულ დანაშაულთა ნიშნები, რომლებიც არამარტო შიდასახელმწიფოებრივი, არამედ საერთშორისო პრობლემაცაა. სახელმძღვანელოები დამეხმარა ჯგუფური დანაშაულების, თანამონაწილეობის და თანაამსრულებლობის საკითხზე მუშაობისას. ასევე, საინტერესო იყო ორგანიზებული დანაშაულის ნიშნების გაცნობა და ნარკოდანაშაულის, როგორც საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის კონტექსტში განხილვა.

ნარკოდანაშაულების განხილვისას საინტერესოა, თუ როგორ რეგულირდება მსგავსი ქმედებები საზღვრგარეთის ქვეყნების სამართალში. უცხოური ლიტერტურის გასაცნობად დამჭირდა ელექტრონული ვერსიები, მაგალითად, ა.ე. შალაგინის ,,საგარეო კანონმდებლობა ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის სფეროში“, სადაც აღწერილია ნარკოვითარება რუსეთში, გამომწვევი მიზეზები და მათი გადაჭრის ხერხები, ასევე განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების როლი ნარკოტიკების არალეგალურ ბრუნვაში. გავეცანი პ.ნ. კობეცის ,,საფრანგეთის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლები ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის სფეროში“, სადაც ავტორი ხაზს უსვამს საფრანგეთის მთავრობის მიერ დაგეგმილ სწორ ნარკოპოლიტიკას და მიდგომებს ნარკომანიასთან ბრძოლაში და მოკლედ განიხილავს სახვადასხვა სახელმწიფოების მიდგომებს ამ მიმართულებით.

გავეცანი რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსს, ,,ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ რუსეთის ფედერალურ კანონს, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2006 წლის 15 ივნისის #1414 დადგენილებას სადაც განხილულია სასამართლო პრაქტიკა ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებით, რომელთა დახმარებითაც შევძელი შედარებები გამეკეთებინა ნაშრომის საკვლევ ნორმას და რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შესაბამის ნორმას შორის.

გავეცანი უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის ჩემთვის საინტერესო ნაწილს, რომელიც ნარკოდანაშაულებს ეხება და ამ ნორმების განმარტებებს მათი უკეთ გააზრების მიზნით. ასევე, გავეცანი ნარკოვითარებას უკრაინაში და შესაბამის სტატისტიკას.

გავეცანი ინტერნეტში გამოქვეყნებულ უამრავ მასალას, რომელათაგან ზოგიერთის შინაარსი გავიზიარე ნაშრომში, მაგალითად, მეტად საინტერესო აღმოჩნდა MILDECA-ს (ნარკომანიისა და ნარკოტიკული ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობათაშორისი მისია) საქმიანობის გაცნობა, რომელიც საფრანგეთში 1982 წელს დაარსდა და რომელიც ყოველწლიურად წარუდგენს პრემიერმინისტრს ანგარიშს ნარკოვითარებსთან და გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციის საქმიანობა უამრავ საინტერესო ღონისძიებას მოიცავს, რომელიც საფრანგეთში ქმნის ერთ უწყვეთ და ძლიერ ჯაჭვს ნარკომანიის დამარცხების მიზნით.

თავი II. ნარკოტიკულ დანაშაულთა საკანონმდებლო მიმოხილვა

ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა და მისი სწორად წარმართვა შეუძლებელია დახვეწილი, მწყობრი საკანონმდებლო ნორმების არსებობის გარეშე[4].

ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებით განხორციელებული ყოველგვარი ქმედება არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დანაშაული. ქმედების დანაშაულებრიობას განსაზღვრავს სისხლის სამართლის კოდექსი. არსებობს კიდევ სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებს და არეგულირებს ნარკოტიკული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვას, ასევე, ნორმატიული აქტები, რომლებიც საერთაშორისო კონტროლს აწესებენ მსგავსი ნივთიერებების ბრუნვაზე და ვაჭრობაზე და სახელმწიფოებს მოუწოდებენ ხელმოწერით შეუერთდნენ და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გაიზიარონ საერთაშორისო გამოცდილება. ამ გზით უფრო ეფექტური იქნება ნარკოდანაშაულთან ბრძოლა და სწორი ნარკოპოლიტიკის ჩამოყალიბება.

ნარკოდანაშაულთან ბრძოლას ხელს უწყობს საერთაშორისო ორგანიზაციების შეხვედრები, კონფერენციები, რომლებზეც ხდება ნარკოვითარების განხილვა სმოფლიო მასშტაბით, ვინაიდან ნარკოდანაშაული საერთაშორისო ტრანსნაციონალურ დანაშაულთა სიაში მოიაზრება და მხოლოდ ცალკეული ქვეყნების თავდაუზოგავი შრომაც არ იქნება საკმარისი პრობლემის თუნდაც შესამცირებლად. მსოფლიო აქტიურად ებრძვის სენს, რომელსაც ნარკომანია ჰქვია.

2.1. საერთაშორისო კანონმდებლობა

არსებობს სამი ძირითადი საერთაშორისო შეთანხმება ნარკოტიკების კონტროლის შესახებ, რომელთა მიზანია ნარკოტიკების შესახებ ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების შექმნა.

პირველი იყო 1961 წლის გაერო-ს კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“, რომელსაც საქართველო შეუერთდა 2000 წელს და რომლის თანახმად ნარკოტიკული საშუალებების შენახვა, გამოყენება, რეალიზაცია, იმპორტი, ექსპორტი, წარმოება და კულტივირება დასაშვებია მხოლოდ სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნით.

[4]შ. ფაფიაშვილი, ,,კრიმინალისტიკა“ (განსაკუთრებული ნაწილი), თბ., 2013, გვ. 461.

ამავე კონვენციაში საუბარია ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობა-პრევენციაზე, სოციალურ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობს ნარკომანიის გავრცელებას. ნათქვამია, რომ ნარკომანია ხელს უწყობს პიროვნების გაღრწნას და სოციალური წონასწორობის დარღვევას, რომ ცალკეული პირები და ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ცხოვრობენ სავალალო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, თავად უწყობენ ხელს ნარკომანიას. იქვე გაცემულია რეკომენდაციები კონვენციის ხელმომწერი ქვეყნებისთვის, რომ მიიღონ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა შესაძლო ზომა.[5]

შემდეგ იყო გაერო-ს 1971 წლის კონვენცია „ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ“, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1997 წელს. ეს კონვენცია აწესებს საერთაშორისო კონტროლს ფსიქოტროპულ საშუალებებზე და განავრცობს 1961 წლის კონვენციით დადგენილ ნარკოტიკული საშუალებების ნუსხას.

კონვენციაში საუბარია, რომ მხარეები ზრუნავენ კაცობრიობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, აღიარებენ პრობლემის არსებობას, რომელიც წარმოიშვა ზოგიერთი ფსიქოტროპული ნივთიერების ბოროტად გამოყენების გამო, თვლიან, რომ საჭიროა მკაცრი ზომების მიღება, კოორდინირებული და უნივერსალური მოქმედებები, რათა ასეთი ნივთიერებების გამოყენება კანონიერი მიზნით შეზღუდული იყოს.

იქვე ნათქვამია, რომ ფსიქოტროპულ ნივთიერებათა გამოყენება სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისთვის საჭიროა და რომ ისინი ასეთი მიზნებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.[6]

გაერო-ს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ განსაზღვრავს ყველა იმ მრავალმხრივ ღონისძიებას, რომელიც მიმართულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ და ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითად ასპექტებს, როგორებიცაა ექსტრადიცია ან სამართლებრივი დევნის გადატანა და განხორციელება სხვა ქვეყნებში[7].

ამ კონვენციის მიხედვით მონაწილე მხარეები კიდევ ერთხელ აღიარებენ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის მასშტაბებს, რაც გარკვეულწილად მოწმობს სახელმწიფოთა სისუსტეს ამ ტიპის დანაშაულებთან ბრძოლაში. მსოფლიოსთვის არ აღმოჩნდა საკმარისი გაერო-ს მიერ მიღებული ორი კონვენცია ნარკომანიასთან ბრძოლისთვის და წლების შემდეგ საჭირო გახდა დამატებითი ზომების მიღება. მხარეები აღიარებენ ნარკოტიკების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო

[5] გაერო-ს 1961 წლის ერთიანი კონვენცია ,,ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ“
[6] გაერო-ს 1971 წლის 21 თებერვლის კონვენცია ,,ფსიქოტროპულ ნივთიერებათა თაობაზე“
[7] http://www.nplg.gov.ge პოლიცია და ნარკოტიკები, სტუდენტის სახელმძღვანელო.

დანაშაულებრივ ქმედებათა აღმოსაფხვრელად სისხლისსამართლებრივ საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის ლეგალურ საშუალებათა გაძლიერებისა და განმტკიცების მნიშვნელობას და ამის საფუძველზე დაიდო შემდეგი კონვენცია, რომელიც კონკრეტულად უკნონო ბრუნვის წინააღმდეგ იქნა მიმართული.[8]

2.2. ნარკოდანაშაულთა რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით

გაერო-ს კონვენციების მიხედვით საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერებების ბრუნვა და მასთან დაკავშირებული მოქმედებები რეგულირდება რამდენიმე კანონით, როგორებიცაა მაგალითად, ,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, ,,ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ზუსტად არის გაწერილი ის ნივთიერებები, რომლებიც სპეციალურ კონტროლს ექვემდებარება, ასევე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებების ოდენობები გრამებში (შემდგომ სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის).

აგრეთვე, კანონი ქმნის ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზაციულ სამართლებრივ საფუძვლებს. საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს ქვეყნის ეროვნული ნარკოპოლიტიკა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმები. სწორედ ეს საბჭო ადგენს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სიებს და მათ ოდენობებს.[9]

,,ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების“ შესახებ საქართველოს კანონი საქრთველოს პარლამენტმა მიიღო 2014 წელს. ამ კანონის მიღება განაპირობა 2000-იანი წლების ბოლოდან საქართველოში ე.წ. სინთეტიკური ნარკოტიკების გავრცელებამ. კანონის საფუძველზე შეიქმნა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისია, რომელიც ვალდებულია აწარმოოს კვლევები და დააკვირდეს შესაბამის ნივთიერებებს,

[8] გაერო-ს კონვენცია ,,ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, 1988 წ.

[9] თ. გეგელია და სხვები, ,,ნარკოტიკული დანაშაული“, გამომც. ,,იურისტების სამყარო“, თბ. 2020. გვ. 38

მეთვალყურეობა გაუწიოს საზოგადოებაში მათ მიმოქცევას, ასევე, მოახდინოს ამ ნივთიერებების რისკების და ზეგავლენის შეფასება.

სისხლის სამართლის ძველი კოდექსისგან განსხვავებით, ახალ კოდექსში პასუხისმგებლობა ნარკოტიკული დანაშაულისათვის დაწესებულია ცალკე XXXIII თავში (მუხლი 260-274). ეს გამომდინარეობს დანაშაულის საგნის სპეციფიკიდან. დამატებების და ცვლილებების შემდეგ, სისხლის სამართლის კოდექსის კონსოლიდირებული ვერსია, ნარკოტიკულ დანაშაულთა კუთხით, ორიენტირებულია არა იმდენად სადამსჯელო ღონისძიებაზე, რამდენადაც დანაშაულის პრევენციაზე, რადგან ნარკოტიკის მომხმარებელი არა მხოლოდ დამნაშავეა, არამედ ის საჭიროებს სამედიცინო დახმარებასაც პრობლემის რეალურად აღმოფხვრის მიზნით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია 260-ე მუხლის შენიშვნა, სადაც ვკითხულობთ, რომ ნარკოდანაშაულის ჩამდენი პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება, თუკი ის ნებაყოფლობით ჩააბარებს დანაშაულის საგანს, აქტიურად ითანამშრომლებს გამოძიებასთან და თუ მისი ქმედება არ შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, ეს ყოველივე კი გამოძიების დაწყებამდე უნდა მოხდეს და არა მის შემდეგ. კანონმდებლის ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დანაშაულის დროულ აღმოფხვრას და უკანონო ქმედების შეწყვეტას უფრო მძიმე შედეგის დადგომამდე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონი ნარკოტიკებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისას გახლავთ ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მოქმედებას იწყებს მხოლოდ ნარკოდანაშაულთან დაკავშირებულ საქმეზე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩანენის გამოტანის შემდეგ კონკრეტული პირის მიმართ. ეს კანონი ითვლისწინებს დამატებით სასჯელებს (მაგ. სატრასპორტო საშუალების მართვის უფლების აკრძალვა, სამედიცინო ან საგანმანათლებლო საქმიანობის აკრძალვა) სასამართლოს მიერ დადგენილ ძირითად სასჯელთან ერთად.[10]

ნარკოდანაშაულისთვის დაწესებულ სასჯელებს რაც შეეხება, აქ ცოტა გაუგებრია კანონმდებლის პოზიცია, მაგალითად თუ გადავხედავთ და ერთმანეთს შევადარებთ სსკ-ის 260-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულიების შესაბამის სასჯელებს, ვნახავთ, რომ თუ პირი უკანონოდ შეიძენს ნარკოტიკულ საშუალებას საფასურის გადახდით მას შეიძლება სასჯელის სახით დაეკისროს თავისუფლების აღკვეთა ექვს წლამდე ვადით, ხოლო თუ პირი მოიპარავს ნარკოტიკულ საშუალებას მას შეიძლება დაეკისროს სასჯელად ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო ან თავისუფლების აღკვეთა ორიდან ოთხ წლამდე ვადით. სასჯელები შეუსაბამოა, რადგან

[10] თ. გეგელია და სხვები, ,,ნარკოტიკული დანაშაული“, გამომც. ,,იურისტების სამყარო“, თბ. 2020. გვ. 39

ნარკოტიკული საშუალების მოპარვა ან გამოძალვა უფრო მეტი საშიშროებით ხასიათდება, სახეზეა 1) კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ბრუნვის წესის დარღვევა და 2) საკუთრებითი ურთიერთობების დარღვევა.

თავი III. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა

(ქმედების შემადგენლობა)

სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულის პირველად ნიშნად აცხადებს ადამიანის ქცევის კონკრეტულ, გარეგან გამოვლინებას. კონკრეტული ქმედების გარეშე, რომელიც საფრთხეს უქმნის ან ვნებს მართლწესრიგს, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[11]

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისას სახეზე უნდა იყოს დანაშაულის სამ საფეხურიანი სისტემა, რომელიც მოიცავს ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობას და ბრალს. ქმედების შემადგენლობა იყოფა ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობად. ობიექტური შემადგენლობა მოიცავს ძირითად და ფაკულტატურ (დამატებით) ნიშნებს. ობიექტური შემადგენლობის ძირითადი ნიშნები ყველა დანაშაულისთვის საერთოა, გამონაკლისს წარმოადგენს ფორმალური ანუ შედეგგარეშე დანაშაულები, სადაც მთავარია დადგინდეს მოქმედება (უმოქმედობა) და შედეგის დადგომას კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს.[12] ქმედების ობიექტური შემადგენლობის ძრითადი ნიშნებია: 1. ქმედების სუბიექტი, 2. ქმედების ობიექტი, 3. ქმედება, 4. შედეგი ან ქმედების ობიექტის ხელყოფის საფრთხე, 5. მიზეზობრივი კავშირი ქმედებას და დამდგარ შედეგს ან შექმნილ საფრთხეს შორის, 6. ობიექტური შერაცხვა.

საკითხს, თუ რომელი ობიექტი უნდა იქნეს დაცული სისხლის სამართლის კანონით, წყვეტს კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონის ფორმაში. საზოგადოებრივად საშიშ ქმედებათა ზოგიერთი კატეგორია სისხლის სამართლის კანონით იკრძალება, რის გამოც საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც შეიძლება ხელყოფილ იქნეს ანტისაზოგადოებრივი ქმედებით, უკვე დაცული ხდება სისხლის სამართლის კანონით და ეს ურთიერთობა ,,სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს“ წარმოადგენს.[13]

---

[11] ა. გაბიანი და სხვები, ,,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, გამომც. ,,მერიდიანი“, თბ. 2007, გვ. 52

[12] მ. ტურავა, ,,სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა)“, მეშვიდე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ. 2008, გვ. 72

[13] გ. ნაჭყებია და სხვები, ,,ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბ. 2012, გვ. 71

ფაკულტატურ ნიშნებს კი ყურადღება ექცევა და კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობას იძენს ზოგიერთ შემთხვევაში. მაგალითად, ჩვენი განსახილველი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ძირითად ნიშნებთან ერთად, აუცილებლად გასათვალისწინებელია და კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვს დანაშაულის საგანს და დანაშაულის ჩადენის ხერს, რომლებიც პირდაპირ ნორმის სათაურშია მოცემული.

ქმედების ობიექტური შემადგენლობის დადგენის შემდეგ დგინდება სუბიექტური შემადგენლობა. ქმედების სუბიექტური შემდგენლობა არის პირის ფსიქიკური, შინაგანი დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულის მიმართ. სუბიექტური შემადგენლობის სავალდებულო ელემენტებია განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. დამატებითი ელემენტებია: მოტივი, მიზნი, ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები. სსკ-ის 264-ე მუხლის განხილვისთვის საჭიროა განზრახვის განხილვა, ვინაიდან ეს დანაშაული ჩაიდინება მხოლოდ განზრახვით და არცერთ შემთხვევაში გაუფრთხილებლობით. პირდაპირი განზრახვა არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, რომლის დროსაც პირს გაცნობიერებული ჰქონდა ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი. პირდაპირი განზრახვა შეიძლება იყოს პირველი ხარისხის და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა. ფსიქოლოგიური ნიშნის მიხედვით განზრახვას ჰყოფენ წინასწარ მოფიქრებულ და უეცრად წარმოშობილ განზრახვად. ქმედების ფაქტიური და სოციალური ხასიათის მიხედვით განზრახვა შეიძლება იყოს: 1. განუსაზღვრელი, 2. განსაზღვრული, 3. ალტერნატიული.[14]

სუბიექტური შემადგენლობის არასავალდებულო ნიშნებიდან დანაშაულის მოტივი განიმარტება, როგორც ის განცდები, რამაც უბიძგა პირს ჩაედინა დანაშაული. მიზანი არის ის, რისკენაც ქმედების ჩადენის დროს მიისწრაფვის დამნაშავე. ამ ნიშნებს კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს სსკ-ის 264-ე მუხლის შემთხვევაში, მაგრამ ზოგიერთი მუხლის დისპოზიციაში პირდაპირ არის მითითებული დანაშაულის მოტივის და მიზნის შესახებ.

ფაქტიური ხასიათის შეცდომებიდან, განსახილველი ნორმის შემთხვევაში, საინტერესოა შეცდომა ქმედების ობიექტში, რაც გულისხმობს განზრახვის არსებობას ერთ ობიექტზე და შემთხვევით, შეცდომით სხვა ობიექტს მიადგება ზიანი პირის ქმედებით.

ზემოთ მოყვანილი ქმედების შემადგენლობის ზოგადი განხილვიდან გამომდინარე დავახასიათოთ ნარკოდანაშაულთაგან ერთ-ერთი საინტერესო 264-ე მუხლი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ნარკოდანაშაულს, არამედ მისი ჩადენის ხერხი და საშუალება დაკავშირებულია სისხლის სამართლის სხვა ნორმებთან, კერძოდ საკუთრებით ურთიერთობებთან. თუმცა, 264-ე მუხლით

[14] ა. შენგელია, თ. დოლიძე, ,,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო), გამომც. ,,იურისტების სამყარო“, თბ. 2016, გვ. 33-34

გათვალისწინებულ დანაშაულზე სისხლისსამარათლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, მაგალითად, მთავარი პროკურორის 2017 წლის 19 ივლისი ანგარიშში მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით 2014-2017 (6 თვე) წლებში აღნიშნული მუხლით მხოლოდ 7 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, როცა იგივე სტატისტიკის მიხედვით, იგივე პერიოდში, სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე 8190 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე 10551 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.[15]

[15] http://pog.gov.ge/uploads/docs/angarisi19_07_2017.pdf გვ.43

3.1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ქმედების ობიექტური შემადგენლობის ძირითად ნიშნებთან ერთად, სსკ-ის 264-ე მუხლში, მნიშვნელოვანია დანაშაულის საგანი და ის სპეციალურ კონტროლს დაქვემეზარებულ ნივთიერაბას წარმოადგენს, სწორედ დანაშაულის საგანი განასხვავებს და სპეციალური ნორმის სახით წარმოაჩენს 264-ე მუხლს საკუთრებათა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში მოცემული ნორმებისგან.

სისხლის სამართლის კოდექსის 264-ე მუხლში თავმოყრილია დანაშაულის ყველა ის საგანი, რომელსაც საერთოდ ნარკოდანაშაული ითვალისწინებს, კერძოდ:

1. ნარკოტიკული საშუალება;
2. მისი ანალოგი;
3. პრეკურსორი;
4. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება;
5. ფსიქოტროპული ნივთიერება;
6. მისი ანალოგი;
7. ძლიერმოქმედი ნივთიერება.

ამ დანაშაულთა თავში მოცემული თითქმის ყველა ნორმა ბლანკეტურია და იმის დასადგენად, თუ რა ნივთიერების უკანონო ბრუნვაზეა საუბარი, საჭიროა მივმართოთ საქართველოს კანონს ,,ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების“ შესახებ და ,,ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქრთველოს კანონს.

სსკ-ის მიზნიბისთვის ნარკოტიკული საშუალება გულისხმობს სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერებას, პრეპარატს, მცენარეს, რომლებიც გაერო-ს კონვენციის დებულებათა შესაბამისად შეტანილია საქართელოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალში.

პრეკურსორი არის ნივთიერება, რომელიც გამოიყენება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საწარმოებლად, დასამზადებლად, გადასამუშავებლად და გაეროს კონვენციების დებულებათ შესაბმისდ შეტანილია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალში.

ნარკოტიკული საშუალების ანალოგი გულისხმობს საქართველოში ბრუნვისთვის აკრძალულ სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის საშუალებებს ან ნივთიერებებს, რომლებიც არ არიან შეტანილი კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიებში, მაგრამ მათი ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედება მსგავსია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალში შეტანილი ნარკოტიკული საშუალებების ფსიქოაქტიური მოქმედებისა. [16]

2016 წლის 14 აპრილის კანონით ,,ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ" საქართველოს სისიხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება და ნარკოტიკული დანაშაულების საგნების ჩამონათვალს დაემატა ,,ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება". ამ კანონის მიხედვით, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება განიმარტება, როგორც ნივთიერება ან მინარევი, რომლებიც ზემოხსენებული კანონის დანართში არის კონკრეტულად მითითებული და რომელსაც მოხმარების შემთხვევაში ადამიანის სხეულში ფსიქოაქტიური ზეგავლენის გამოწვევა შეუძლია.[17]

ძლიერმოქმედი ნივთიერების განმარტება მოცემული არ არის და უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ნივთიერება შეიძლება იყოს ნებისმიერი ფარმაცევტული ნივთიერება, რომელსაც მოხმარების შემთხვევაში ადამიანის ორგანიზმში შეუძლია ფსიქოაქტიური ზეგავლენის გამოწვევა. უცნობი ნივთიერების ამოღების შემთხვევაში ექსპერტი განსაზღვრავს ზუსტად რა სახის ნივთიერებაა.

ქმედების შემადგენლობის პირველი ნიშანი არის ქმედების სუბიექტი, რომლის გარეშეც ქმედება არ განხორციელდებოდა. ქმედების სუბიექტი არის პირი, რომელიც მოქმედებს, ანუ ასრულებს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ მოქმედებას ან უმოქმედობას, როდესაც მას აქვს მოქმედების ვალდებულება. ამას განმარტავს სსკ-ის 22-ე მუხლი, რომლის მიხედვით ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხადობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[18]

ამ მუხლში ლაპარაკია ამსრულებლის სამ სახეზე: დანაშაულის უშუალო ამსრულებელი, თანაამსრულებელი და შუალობითი ამსრულებელი. ამსრულებლის ცნება უნდა გავმიჯნოთ თანამონაწილის ცნებისგან, ვინაიდან ამსრულებელი შესაძლოა იყოს მხოლოდ ერთი პიროვნება, რომელიც მოქმედებს ერთპიროვნულად, ინდივიდუალურად. დანაშაულში თანამონაწილე კი,

---

[16] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი",წიგნი I, მეოთხე გამოცემა, გამომც. ,,მერიდიანი", თბ. 2011 წ., გვ. 86

[17] საქართველოს კანონი ,,ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ", 2020 წლის 15 ივნისის მდგ.

[18] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2020 წლის 15 ივნისის მდგ., მუხლი 22

მაგალითად დამხმარე, საბოლოო მიზანს აღწევს მხოლოდ ამსრულებლის უშუალო ქმედებით, დანაშაულში თანამონაწილეობის დროს.

უშუალო ამსრულებელი მოქმედებს ერთპიროვნულად მიზნის მისაღწევად, მაგალითად, სუბიექტი მარტო შედის საცხოვრებელ სახლში სადაც ეგულება ნარკოტიკული ნივთიერება და მართლსაწინააღმდეგოდ, ფარულად ეუფლება მას. უშუალო ამსრულებლობა არ გამოირიცხება მაშინაც, როდესაც სუბიექტი მიზნის მისაღწევად იყენებს ცხოველს. მაგალითად, პირი სპეციალურად გაწვრთნილ ძაღლს შეუშვებს საცხოვრებელ სახლში ნარკოტიკული ნივთიერების ყნოსვის დახმარებით მოსაძებნად. მართალია, ამ პირს შესაძლოა ცხოველის დახმარების გარეშე ვერ განეხორციელებინა თავისი განზრახვა, მაგრამ ცხოველი სისხლის სამართლის სუბიექტად არ მოიაზრება, ამიტომ, ამ შემთხვევაშიც ეს პირი არის დანაშაულის უშუალო ამსრულებელი.

შესაძლოა გამოვყოთ უშუალო ამსრულებლის ორი სახე: 1) ერთპიროვნული ამსრულებლობა, როდესაც მხოლოდ ერთი პირი მოქმედებს და 2) როცა დანაშაულს თანამონაწილეები სჩადიან, მაგრამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილ შემადგენლობას მაინც ერთი ადამიანი ასრულებს.[19]

თანაამსრულებლობის დროს არ არის აუცილებელი, რომ ყველა თანაამსრულებელი ქმედების ობიექტურ შემადგენლობას მთლიანად ასრულებდეს, მთავარია, რომ თითოეული თანაამსრულებლის მიერ განხორციელებული ქმედების შემადგენლობის თითო ელემენტი იძლეოდეს საბოლოო შედეგს, რასაც ქმედების შემადგენლობა ითვალისწინებს. მაგალითად, ორი თანაამსრულებელი შევა ფსიქოტროპულ აფთიაქში, ერთი იარაღის მუქარით აიძულებს ფარმაცევტს, რომ გადასცეს მათთვის სასურველი ფსიქოტროპული ნივთიერება, ხოლო მეორე ჩანთაში აწყობს ამ ნივთიერებებს. ან ვთქვათ, ერთი თანაამსრულებელი აკავებს ძალის გამოყენებით ფარმაცევტს, ხოლო მეორე თანაამსრულებელი იღებს მათთვის სასურველ ნივთიერებებს და ყრის ჩანთაში. ორივე შემთხვევაში, დანაშაული ჩადენილია თანაამსრულებლების მიერ, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ ქმედებას ახორციელებს, საერთო განზრახვით, და შედეგი ერთი დგება - სსკ-ის 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

ამსრულებლობის კიდევ ერთი სახე არის შუალობითი ამსრულებელი, აქ იგულისხმება, რომ ამსრულებელი ქმედების განსახორციელებლად იყენებს სხვა პირს, ეს შეიძლება იყოს მცირეწლოვანი, სულიერად ავადმყოფი ან ისეთი პირი, რომელსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება სხვადახვა მიზეზთა გამო. ასეთი პირი არის ,,ცოცხალი იარაღი“

[19] ო. გამყრელიძე, ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ. 2008, გვ. 178

ამსრულებლის ხელში. შუალობითი ამსრულებლობის მაგალითია, როცა, ვთქვათ სუბიექტი მცირეწლოვან ბავშვს (14 წლის ასაკს მიუღწეველს) შეუშვებს დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში და დაარიგებს, რომ ჩუმად აიღოს წინასწარ მითითებული ადგილიდან ,,წამალი" და მიუტანოს მას. იგივე შეიძლება ითქვას ფსიქიკური შეურაცხადობის მქონე ადამიანზე, რომელიც ადვილად დასამორჩილებელია სუბიექტისთვის და მის ხელში იქცევა სწორედ რომ ,,ცოცხალ იარაღად".

თუ შერაცხადი პირი შეცდომაში იქნა შეყვანილი და გამოყენებული, როგორც ,,ცოცხალი იარაღი", იგი შეიძლება დაისაჯოს გაუფრთხილებლობისთვის, ხოლო შუალობითი ამსრულებელი განზრახი დანაშაულისთვის, თუ შეცდომა თავიდან აცილებადი იყო. თავიდან აუცილებადი შეცსდომის დროს ,,ცოცხალი იარაღი" არ დაისჯება, არამედ მხოლოდ შუალობითი ამსრულებელი.

სხვადასხვა სახელმძღვანელოში ავტორები გამოთქვამენ განსხვავებულ მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, როცა შუალობითი ამსრულებელი ცდება ,,ცოცხალი იარაღის" არჩევაში ორი მიმართულებით: 1) როცა შუალობითი ამსრულებელი ფიქრობს, რომ წააქეზა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული მოზარდი დანაშაულის ჩასადენად, სინამდვილეში კი ეს მოზარდი 14 წელს მიუღწეველი პირი აღმოჩნდება და 2) როცა შუალობითი ამსრულებელი ფიქრობს, რომ დანაშაულის ჩასადენად გამოიყენებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვს და პასუხისმგებლობა არ დადგება ამ ბავშვს მიმართ, სინამდვილეში კი მოზარდი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი აღმოჩნდება, რომელსაც უკვე საკუთარ ქმედებაზე ეკისრება პასუხისმგებლობა. ობიექტური თეორიის მიხედვით, პირველ შემთხვევაში პირი დაისჯება შუალობითი ამსრულებლობისთვის, და არა თავისი სუბიექტური წარმოდგენის მიხედვით წაქეზებისთვის. მეორე შემთხვევაში კი პირი დაისჯება, იგივე, ობიექტური თეორიის მიხედვით 14 წლის ასაკს მიღწეული პირის დანაშაულის ჩასადენად წაქეზებისთვის.[20]

თანაამსრულებლობა განსხვავდება თანამონაწილეობისგან და არ შეიძლება მათი ერთ კონტექსტში განხილვა, ვინაიდან თანამონაწილეობა გულისხმობს ორგანიზატორს, წამქეზებელს და დამხმარესაც. ხოლო თანაამსრულებლობა, როგორც ვთქვით, ორი ან მეტი პირის ერთობლივი, ქმედების ობიექტური შემადგენლობით გათვალისწინებული, მეტ-ნაკლები ინტენსივობით განხორციელებული ქმედებაა დანაშაულის საბოლოო შედეგის მისაღწევად. თნამონაწილეობის დროს ამსრულებლის ქმედებაზეა დამოკიდებული დამხმარის და წამქეზებლის ქმედების კვალიფიკაცია, თუ ამსრულებელი დაასრულებს ქმედებას და შედეგიც დადგება რასაც

[20] მ. ტურავა, ,,სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა)", მე-9 გამოცემა, თბ. 2013, გვ. 328

კონკრეტული მუხლი ითვალისწინებს, მაშინ თანამონაწილეების პასუხისმგებლობაც დამთავრებული დანაშაულისთვის დადგება. თუ ამსრულებლის ქმედება მცდელობით დაკვალიფიცირდება, ასეთივე კვალიფიკაცია ექნება თანამონაწილეების ქმედებასაც.

სსკ-ის 264-ე მუხლში მნიშვნელოვანია არა იმდენად დანაშაულის საგანი, რამდენადაც მისი მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ხერხი და საშუალება. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა კანონმდებელმა ერთ მუხლში მოეყარა თავი ნარკოდანაშაულის ყველა საგანს.

მნიშვნელოვანია, რომ სსკ-ის 264-ე მუხლი წარმოადგენს სპეციალურ ნორმას, რადგან ,,მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება“ და ,,გამოძალვა“, როგორც წესი, მოიხსენიება და რეგულირდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. ვინაიდან ამ დანაშაულის საგანი სპეციალურია და წარმოადგენს ნარკოტიკულ ნივთიერებას ან მასთან გათანაბრებულს, სწორედ არის გადაწყვეტილი ასეთი დანაშაულის მოწესრიგება ნარკოდანაშაულთა თავში მოცემული შესაბამისი ნორმით.

ქმედების ობიექტი არის სისხლის სამართლის კანონით დაცული ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც ფიზიკური პირის ქმედების შედეგად იქნა ხელყოფილი ან დადგა ასეთი ხელყოფის საფრთხე.[21]

ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებების კანონით დადგენილი შეძენის და მოპოვების წესი, ასევე საკუთრებითი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ნივთიერების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებასთან. დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების ა) მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში ან ბ) გამოძალვაში. ქმედება შესაძლოა განხორციელდეს აქტიური მოქმედებით. აღნიშნული ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება შესაძლოა განხორციელდეს: 1. ქურდობით, 2. ძარცვით, 3. თაღლითობით, 4. მითვისებით ან 5. ყაჩაღური ხერხით.

ქურდობაში იგულისხმება იგივე შემადგენლობა, რაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია განმარტებული, ანუ სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ასეთი შემთხვევა არის სახეზე, როდესაც პირი

[21] მ. ტურავა, ,,სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა)“, მეშვიდე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ. 2008, გვ. 92

შეიპარება დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში ნარკოტიკული საშუალების ფარული დაუფლების მიზნით, აიღებს მისთვის საინტერესო ნივთიერებას, გამოიტანს საცხოვრებელი სახლიდან, მიეცემა დანაშაულის საგნის სრულად განკარგვის საშუალება და დარწმუნებულია, რომ მის ქმედებას ვერავინ ამჩნევს. ან ვთქვათ, როდესაც პირი დაზარალებულს ჩანთიდან ფარულად ამოაცლის ნარკოტიკულ საშუალებას, მთავარია სუბიექტი დარწმუნებული იყოს თავისი ქმედების ფარულ ხასიათში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქურდობა შეიძლება განხორციელდეს საცხოვრებელში ან სხვა საცავში შეღწევით და ღია სივრცეში, მთავარია ის ატარებდეს ფარულ ხასიათს. ასევე, ობიექტური კრიტერიუმებიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სხვისი ნივთის ფარულ დაუფლებას ადგილი ექნება მაშინაც, როდესაც დამნაშავე ეუფლება ქონებას მესაკუთრის თანდასწრებით, მაგრამ ეს უკანასკნელი სხვადასხვა მიზეზთა გამო მოკლებულია შესაძლებლობას აღიქვას ქურდობის ფაქტი, მაგალითად, რამდენიმე პირმა ერთად მიიღო ნარკოტიკული საშუალება და ერთ-ერთმა მათგანმა შეძლო ამ სიტუაციაში დარჩენილი ნივთიერების ჯიბეში ჩადება, მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრე იქვე იყო, მაგრამ ის უკვე ნარკოტიკული თრობის გამო ვერ აღიქვამდა სუბიექტის ქმედებას. იგივეს თქმა შეიძლება მცირეწლოვანის და სულიერად ავადმყოფი პირის მიმართ, რომელთაც თავისი ასაკის ან ფსიქიკური მდგომაეობის გამო არ შეუძლიათ აღიქვან ქურდობის ფაქტი.[22]

ძარცვა გულისხმობს ამ ნივთიერებების აშკარა დაუფლებას, რომელსაც შესაძლოა ახლდეს ისეთი ძალადობის გამოყენება, რაც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ასეთ ძალადობას ითვალისწინებს 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ პუნქტი.

ობიექტური მხრივ ძარცვა აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება. ძარცვისთვის დამახასიათებელი მისი აშკარა ხასიათი და ზოგჯერ ადამიანზე ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედება, ამ დანაშაულს უფრო საშიშს ხდის საზოგადოებისთვის.

ამ შემთხვევაში სუბიექტმა იცის, რომ მისი ქმედება შესამჩნევია დაზარალებულის და, შესაძლოა, სხვა პირების მხრიდანაც, მაგრამ ის რისკავს მისთვის სასურველი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისთვის. მაგალითად, პირმა დაინახა, რომ ფსიქოტროპული აფთიაქიდან გამოსულმა მოქალაქემ ხელჩანთაში ჩაიდო სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება, სუბიექტმა გამოგლიჯა ხელჩანთა დაზარალებულს და გაიქცა.

თაღლითობა კი გულისხმობს აღნიშნული ნივთიერებების დაუფლებას მოტყუებით. ვთქვათ, ყალბი დოკუმენტის დამზადებით პირმა თავი გაასაღა ონკოლოგიურ პაციენტად,

[22] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი”,წიგნი I, მეოთხე გამოცემა, ,,მერიდიანი“, თბ. 2011 წ., გვ. 368

რომელსაც უსასყიდლოდ ეკუთვნის მორფინის მიღება გაუსაძლისი ტკივილების გამო, მივიდა აფთიაქში და ყალბი დოკუმენტის წარდგენით საფასურის გადახდის გარეშე გამოიტანა მისთვის სასურველი ნივთიერება. ამ შემთხვევაში კვალიფიკაცია მოხდება სსკ-ის 264-ე მუხლით, ხოლო თუ თავად ამ პირმა დაამზადა ყალბი დოკუმენტი, ამ შემთხვევში დამატებით დაკვალიფიცირდება მისი ქმედება სსკ-ის 362-ე მუხლით და არა 267-ე მუხლით, რაც გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი დოკუმენტის დამზადებას გასაღების მიზნით, ამ შემთხვევაში კი მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების მისაკუთრების პირადი მიზანია სახეზე.

თუ პირმა ყალბი რეცეპტის საფუძველზე შეიძინა აფთიაქიდან ნარკოტიკული ნივთიერება, მაშინ კვალიფიკაციას საჭიროებს ორივე ქმედება, ყალბი რეცეპტის დამზადება და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, ვინაიდან საფასურის გადახდით განხორციელდა ქმედება, 264-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის კი აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ნივთიერება დაუფლებული იყოს უსასყიდლოდ.

მითვისება იქნება სახეზე, როცა ის პირი მიისაკუთრებს დანაშაულის საგანს, რომელსაც მინდობილი ქონდა ეს ნივთიერება მართლზომიერად. მაგალითად, ონკოლოგიური საავადმყოფოს ექთანი არის პირი, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მართლზომიერად აქვს მინდობილი ისეთი ნივთიერება, რომელიც სპეციალურ კონტროლს ექვემდებარება და თუ ეს ექთანი საავადმყოფოდან გამოიტანს ასეთ ნივთიერებას (არ აქვს მნიშვნელობა შემდეგ როგორ გამოიყენებს), სახეზე გვექნება 264-ე მუხლის შემადგენლობა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება მითვისების გზით. ამის რეალურ მაგალითს წარმოადგენს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის განაჩენი, სადაც აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღწერილია პირის ქმედება, რომელიც ბათუმის ორ სხვადასხვა ჰოსპიტალში მუშაობდა სხვადასხვა დროს, თანამდებობით მას ეკისრებოდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვა, მომზადებასა და გამოყენებაზე პასუხისმგებლობა, მან ისარგებლა ამ გარემოებით და მიითვისა მასზე მინდობილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ,,მორფინის“ შემცველი ამპულები. კვალიფიკაცია მოხდა სსკ-ის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ და მე-4 ნაწილის ,,ა“ პუნქტებით, ორ ეპიზოდად, ვინაიდან მან ორივე სამუშაო ადგილზე მუშაობისას მიითვისა აღნიშნული ნივთიერება დროის სხვადასხვა მონაკვეთში. სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ განაჩენის გამოტანის მომენტისთვის ბრალდებული უკვე გარდაცვილი იყო და, შესაბამისად, სასჯელზე საუბარი აღარ არის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში.[23]

[23] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, საქმე #1-1087/18, 7 თებერვალი 2019 წელი

სხვა შემთხვევა, როდესაც პირი იმყოფება თავისი მეგობრის სახლში და დაინახავს სად შეინახა სახლის მეპატრონემ ნარკოტიკული საშუალება, თუ პირი ჩუმად აიღებს მისთვის საინტერესო ნივთიერებას და გამოიტანს სახლიდან, ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება 264-ე მუხლით, მაგრამ ქმედება ჩადენილია ქურდული მეთოდით და არა მითვისებით, რადგან ამ პირს არანაირად არ ჰქონდა მინდობილი ნარკოტიკული საშუალება.

კიდევ ერთი ხერხი, რომლითაც შეიძლება მართლსაწინააღმდეგოდ იქნეს მისაკუთრებული 264-ე მუხლის დანაშაულის საგანი, არის **ყაჩაღური** ხერხი. ყაჩაღობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში არის განმარტებული, როგორც სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობითვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქრით. 264-ე მუხლში ასეთი ხერხი მოცემულია მე-4 ნაწილის ,,გ" პუნქტში.

ობიექტური მხრივ ყაჩაღობა გამოიხატება თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად, ამ შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალების ან 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სხვა საგნის დასაუფლებლად. თავდასხმა უნდა გავიგოთ, როგორც დაზარალებულისთვის დამნაშავის უეცარი, აგრესიული მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ძალადობასთან.[24]

თუ ამგვარ თავდასხმას და ძალადობას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიცლოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, კვალიფიკაცია მოხდება დანაშაულთა ერთობლიობით. ეს ფაქტი საერთოა როგორც 264-ე მუხლის, ასევე, 179-ე მუხლის შემთხვევაში. განსხვავება ამ ორ ნორმას შორის ისაა, რომ 179-ე მუხლი ფორმალური ხასიათის დანაშაულებს მიეკუთვნება, ანუ ქმედება დასრულებულია თავდასხმის მომენტიდან და შედეგს კვალიფიკაციისთვის აღარ აქვს მნიშვნელობა, ეს გაითვალისწინება სასჯელის შეფარდებისას. ხოლო 264-ე მუხლი მატერიალური ხასიათის დანაშაულია და აუცილებელია, რომ ამგვარ თავდასხმას შედეგად მოჰყვეს ამ დანაშაულის საგნის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, ანუ ბრალდებულს მიეცეს მისაკუთრებული ნივთიერების თავისი შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობა. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა, ვინაიდან ორივე დანაშაულის შემთხვევაში ქმედება შესაძლოა იდენტურად განხორციელდეს, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის საგანს. მაგალითად, პირი შეიჭრა ერთ-ერთ ოჯახში შეიარაღებული, ძალადობით და იარაღის მუქარით მოსთხოვა ოჯახის წევრებს გადაეცათ მისთვის ძვირფასეულობა. ეს პირი გამოიტანს თუ არა ძვირფასეულობას, თუ ოჯახის წევრები შეძლებენ მისთვის წინააღმდეგობის გაწევას და ვეღარ

[24] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი",წიგნი I, მეოთხე გამოცემა, ,,მერიდიანი", თბ. 2011 წ., გვ. 377

შეძლებს ამ ძვირფასეულობის გამოტანას, კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ეს არის ყაჩაღობის დასრულებული შემადგენლობა. მეორე მაგალითი, თუ პირი შეიჭრება იგივე საცხოვრებელ სახლში, ეგულება რა, რომ სახლის მეპატრონეს შენახული აქვს ნარკოტიკული საშუალება, იარაღის მუქარით და ძალადობით მოსთხოვს დაზარალებულს ამ ნივთიერების გადაცემას, თუ პირი განზრახვას სისრულეში მოიყვანს და მიისაკუთრებს აღნიშნულ ნივთიერებას, ამ შემთხვევაში სახეზე გვექნება 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დასრულებული შემადგენლობა. ხოლო, თუ ეს პირი დაზარალებულის წინააღმდეგობის შემდეგ ვერ მიისაკუთრებს ნარკოტიკულ ნივთიერებას, მაშინ გვექნება 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობა.

საინტერესო მაგალითია კიდევ ერთი მოქმედების განვითარება, როცა პირი შეიჭრება, ვთქვათ გამსაღებლის საცხოვრებელ სახლში, ძალადობით და მუქარით მოსთხოვს როგორც ფულის და ძვირფასეულობის, ასევე ნარკოტიკული საშუალების გადაცემას. თუ ეს პირი შეძლებს და განზრახვას ბოლომდე მიიყვანს, მაშინ ორივე, 179-ე და 264-ე მუხლებით მოხდება ქმედების კვალიფიკაცია, ხოლო თუ დაზარალებულის წინააღმდეგობის შემდეგ ვერ შეძლებს მოთხოვნილი ნივთების სახლიდან გატანას, ამ შემთხვევაში კვალიფიკაცია მაინც დასრულებული ყაჩაღობისთვის დადგება, ხოლო 264-ე მუხლის შემთხვევაში მხოლოდ მცდელობისთვის.

კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, განხილული ყველა ხერხით, მატერიალური ხასიათისაა. ქმედების დასრულებისთვის პირმა უნდა შეძლოს თავისი ნების მიხედვით განკარგოს უკანონოდ მოპოვებული ნივთიერება, სხვა შემთხვევაში იქნება დაუმთავრებელი დანაშაული და კვალიფიკაცია დადგება 264-ე მუხლის მცდელობით. [25]

გამოძალვას ექნება ადგილი, როდესაც პირი წაუყენებს დაზარალებულს მოთხოვნას ზემოხსენებული ნივთიერების გადაცემასთან დაკავშირებით და დაემუქრება წინააღმდეგობის შემთხვევაში ჯანმრთელობის დაზიანებით, სიცოცხლის მოსპობით, ქონების დაზიანებით ან სახელგამტეხი ცნობის გავრცელებით. გამოძალვისას გამოყენებული უნდა იყოს ის ხერხები, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 181-ე მუხლში. მაგალითად, პირი შევა ფსიქოტროპულ აფთიაქში და ფარმაცევტს წაუყენებს მოთხოვნას, რომ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ აფთიაქიდან ფარულად გამოიტანოს და გადასცეს მას ძლიერმოქმედი ნივთიერება, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაუწვავს სახლს. გამოძალვა ფორმალური ხასიათის დანაშაულია და კვალიფიკაციისთვის საკმარისია მუქარის წაყენება.

[25] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი",წიგნი I, მეოთხე გამოცემა, ,,მერიდიანი", თბ. 2011 წ., გვ. 720

იმ შემხვევაში, თუ მუქარამ არ გაჭრა, სუბიექტმა ვერ მიიღო მისთვის სასურველი ნივთიერება და თავისი მუქარა სისრულეში მოიყვანა, ვთქვათ დაზარალებულს მართლაც გადაუწვა სახლი, ამ შემთხვევაში კვალიფიკაცია დადგება დანაშაულთა ერთობლიობით, სსკ-ის 264-ე მუხლით (რადგან გამოძალვა ფორმალური ხასიათის დანაშაულია) და ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების შესაბამისად 187-ე მუხლით, რაც გულისხმობს ნივთის განადგურებას ცეცხლის წაკიდებით.

264-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთის აუცილებელია დანაშაულის საგანი იმყოფებოდეს კონკრეტული პირის საკუთრებაში. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა ამ პირს კანონიერად აქვს ეს ნივთიერება საკუთრებაში თუ არა. სწორედ აქ ჩანს მიზეზი, თუ რატომ არის ამ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საკმაოდ დაბალი მაჩვენებლი. პრობლემა ისაა, რომ პირს, რომელსაც არაკანონიერად აქვს საკუთრებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება, ის არასდროს მიმართავს პოლიციას დახმარების თხოვნით იმ შემთხვევაში, თუ მან დაკარგა ეს ნივთიერება. რა თქმა უნდა ასეთ პირს ექნება შიში, რომ მის მიმართაც დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა აკრძალული ნივთიერების უკანონო ფლობისთვის. ამიტომ დგება ეჭვქვეშ განსახილველი მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი, შესაძლოა რეალურად ბევრად მეტი იყოს მსგავსი დანაშაულის რაოდენობა, თუმცა დაზარალებული ამ დანაშაულის შესახებ არ გაამხელს. 264-ე მუხლი უფრო იმუშავებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ მსგავს დანაშაულზე, ან ვთქვათ, ფსიქოტროპული აფთიაქიდან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების შემთხვევაში, ან ყაჩაღური ხერხით მისაკუთრების შემთხვევაში, როცა აშკარა ხდება ქმედება დაუფარავად განხორციელებით. ხოლო როდესაც პირს კანონიერად აქვს საკუთრებაში 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის რომელიმე საგანი და ვინმე მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრებს მის ნივთიერებას ან გამოძალვას ექნება ადგილი, ამ შემთხვევაში, უფრო მეტია შანსი, რომ დაზარალებულმა ამის შესახებ განაცხადოს შესაბამის ორგანოში.

აქ საინტერესოა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის განაჩენი (საქმე №1-382/19), სადაც აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში ნათქვამია: ,,იმისთვის, რომ ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას ჰქონდეს ადგილი, მნიშვნელოვანია ნარკოტიკული საშუალება ინახებოდეს ლეგალურად, საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ზედამხედველობის ქვეშ.“[26] საქმე ეხებოდა ნარკოტიკული ნივთიერება ,,მარიხუანას“ მართლსაწინააღმდეგო

[26] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, საქმე №1-382/19, 26 დეკემბერი 2019 წელი, გვ. 7

მისაკუთრებას ჩადენილს ჯგუფურად სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, რადგან მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება არსებობდა - დაზარალაბელის ჩვენება, რაც საკმარისი არ არის გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. ამასთან, დაზარალებულს მისი მეზობლები და ნაცნობები ახასიათებდნენ, როგორც ,,მარიხუანას" გამსაღებელს.

სასამართლოს ეს განმარტება საფუძველს მოკლებულია, რადგან ქმედების 264-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული თუ გამოძალული დანაშაულის საგანი კანონიერად იმყოფებოდა თუ არა დაზარალებულის საკუთრებაში. ქმედების განხორციელებისას მნიშვნელოვანია 264-ე მუხლის დისპოზიციაში ხსენებული ქმედება, ანუ დანაშაულის საგნის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება და გამოძიებისთვის ცალკე ინტერესის საგანი იქნება ეს ნივთიერება კანონიერად იყო თუ არა საკუთრებაში. სხვა შემთხვევაში, აზრს დაკარგავს სასამართლოს მსგავსი განმარტებით ამ ნორმის არსებობა.

ამ მუხლით კვალიფიკაციისთვის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ დანაშაულის საგანი დაუფლებული იყოს უსასყიდლოდ და ამ საგანს ჰქონდეს მატერიალური ღირებულება, ანუ ადამიანური შრომა იყოს მასზე გაწეული. უკანონო მისაკუთრებას ადგილი ექნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ეს პირობა სახეზე გვექნება.

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როცა პირი უკანონოდ დაეუფლება ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას და მიეცემა იმის შესაძლებლობა, რომ თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს ისინი. სხვა შემთხვევაში, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ამ დანაშაულის მცდელობით.[27]

აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება. კერძოდ, უკანონო შეძენის დროს დანაშაულის საგანი შესაძლოა არც იმყოფებოდეს ვინმეს საკუთრებაში, არამედ ბუნებაში იყოს ველურად აღმოცენებული და მისი მოწყვეტის შემთხვევაში პირის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 260-ე მუხლით, ანუ სახეზე გვექნება უკანონო შეძენა. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან

[27] ნონა თოდუა, ,,ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა",Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence #2-2003, file:///C:/Users/Win_7/Downloads/1006%20(2).pdf

გამოძალვის დროს კი აუცილებელია ეს ნივთიერება იმყოფებოდეს სხვა პირის საკუთრებაში. რომ შევადაროთ ერთმანეთს 260-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ხერხები, დავინახავთ, რომ 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა უფრო მეტი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება, მაგრამ რატომღაც 260-ე მუხლი უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს ვიდრე 264-ე მუხლი, რაც არასწორია.

3.2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

სსკ-ის 264-ე მუხლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ყველა შერაცხადი 14 წლის ასაკს მიღწეული პირი. ასევე შესაძლოა იყოს სპეციალური ამსრულებელი, რომელზეც მაკლვალიფიცირებელი გარემოებების განხილვისას ვისაუბრებ.

ზემოხსენებული დანაშაული პირდაპირი განზრახვით ჩაიდინება, ანუ პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ უკანონოდ ითვისებს იმ ნივთიერებას, რომელიც თავისუფალი ბრუნვიდან არის ამოღებული (სახეზე გვაქვს სპეციალური განზრახვა), ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი.

განზრახვის დადგენისას მნიშვნელოვანია რამდენიმე გარემოება, მაგალითად, თუ პირი ძარცვისას დაზარალებულს გასტაცებს ხელში არსებულ ნივთს და ჰგონია რომ ეს ფულია, მაგრამ შემდეგ აღმოაჩნდება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება, პირის ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულის ჩადენის ხერხისა და მიმართულების შესაბამისად, ანუ ძარცვის მცდელობად.

პირიქით არსებულ შემთხვევაში, თუ პირს ჰგონია, რომ ქურდული გზით იპარავს ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ აღმოჩნდება ჩვეულებრივ ბუნვაში არსებული წამალი, მაშინ პირის ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობით. ეს წესი არ ვრცელდება გამოძალვაზე, რადგან, როგორც მოგახსენეთ, გამოძალვა ფორმალური ხასიათის დანაშაულს მიეკუთვნება და ქმედების შემადგენლობა დამთავრებულია მოთხოვნის წაყენების მომენტიდან.

სხვა შემთხვევაში, მაგალითად, როცა პირი გასტაცებს დაზარალებულს ჩანთას ხელიდან, შემდგომ შეამოწმებს მისთვის საინტერესო ნივთებს ამ ჩანთაში და ფულთან ერთად აღმოაჩენს იქ ნარკოტიკულ საშუალებას, თუ პირი დაიტოვებს ნარკოტიკულ საშუალებას, ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, რადგან მას სპეციალური განზრახვა არ ჰქონია, თუმცა სულ ერთი იყო რას აღმოაჩენდა ძარცვით მოპოვებულ ჩანთაში. მართალია, სსკ-ის 264-ე მუხლი პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, მაგრამ ამ შემთხვევაში, სუბიექტის განზრახვა ალტერნატიული განზრახვის მაგალითია, რაც თავის მხრივ, არაპირდაპირი განზრახვების ჯამია, როცა მოქმედი პირი უშვებს ან ერთ ან მეორე შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში, პირი არაპირდაპირი განზრახვით ნარკოტიკის დაუფლებისთვის აგებს პასუხს.[28]

[28] თ. გეგელია და სხვები, ,,ნარკოტიკული დანაშაული", გამომც. ,,იურისტების სამყარო", თბ. 2020, გვ. 110

სსკ-ის 264-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს ქმედების მოტივს და მიზანს, ეს გასათვალისწინებელია სასჯელის ინდივიდუალიზაციისას.[29] დანაშაული შესაძლოა ჩადენილი იყოს ნარკომანიით დაავადებული პირის მიერ პირადი მოხმარების მიზნით, როდესაც მას არ აქვს საშუალება შეიძინოს ნივთიერება, რომელიც მას სჭირდება, მიმართავს სხვადასხვა ხერხს რათა მიისაკუთროს ეს ნივთიერება თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მიზეზი შესაძლოა იყოს, ასევე, მისაკუთრებული ნივთიერების შემდგომი გასხვისება და აქედან მატერიალური სარგებლის მიღება.

ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები ითვალისწინებს შეცდომას ქმედების ობიექტში. ჩვენი განსახილველი ნორმის ქმედების ობიექტი, როგორც მოგახსენეთ, არის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების კანონით დადგენილი შეძენის და მოპოვების წესი, ასევე საკუთრებითი ურთიერთობები. პირი როდესაც განზრახ ჩადის ამ დანაშაულს, ის შეცდომას ობიექტში ვერ დაუშვებს, შეიძლება შეცდეს დანაშაულის საგანში, მაგრამ არა ობიექტში. შეცდომა ობიექტში იქნება მაგალითად, როდესაც მონადირეს ჰგონია, რომ ესვრის დათვს და მისი სამიზნე აღმოჩნდება მეორე მონადირე. ასეთ შემთხვევაში ქმედების ობიექტი უნდა ყოფილიყო, ვთქვათ, ნადრობის წესი, მაგრამ შეცდომის გამო ობიექტი აღმოჩნდა ადამიანის სიცოცხლე. ქმედება დაკვალიფიცირდება გაუფრთხილებლობით სიცოცლის მოსპობით იმ შემთხვევაში თუ დანაშაული თავიდან აცილებადი იყო, მაგრამ შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთოდ არ დადგეს თუ დანაშაული თავიდან აუცილებადი იყო.[30]

იგივეს ვერ ვიტყვით სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მოპოვებასთან დაკავშირებით, ან საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, ვინაიდან ყველა შერაცხად პირს მოეთხოვება იცოდეს, რომ ,,ნარკოტიკი“ აკრძალული ნივთიერებაა და ის ნივთი, რაც სხვისი საკუთრებაა არ უნდა აიღოს დაუკითხავად.

---

[29] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი”,წიგნი I, მეოთხე გამოცემა, ,,მერიდიანი“, თბ. 2011 წ., გვ. 722

[30] მ. ტურავა, ,,სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა)“, მეშვიდე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ. 2008, გვ. 153

თავი IV. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვის მაკვალიფიცირებელი გარემოებები

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა სსკ-ის მიხედვით ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ან თვისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.[31]

განსახილველ ნორმას ახლავს დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც მეტად საშიშია ქმედების ობიექტისთვის და, თავისთავად, სიმძიმის მიხედვით სასჯელის სახე და ზომაც იცვლება.

4.1. დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჩადენილი ქმედება

მაკვალიფიცირებელ გარემოებებზე საუბრისას, დასაწყისშივე ავღნიშნავ, რომ ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე არ ვრცელდება მაკვალიფიცირებელ გარემოებებში ხსენებული ოდენობები და ასეთი ნივთიერების მიმართ ჩადენილი დანაშაული კვალიფიცირდება 264-ე მუხლის პირველი ნაწილით, დანაშაულის საგნის რაოდენობის მიუხედავად. დანარჩენ თავისუფალი ბრუნვიდან ამოღებულ ნივთიერებაზე ვრცელდება დამამძიმებელი გარემოებები, როგორიც არის **„დიდი ოდენობა“** და **„განსაკუთრებით დიდი ოდენობა“**. სისხლის სამართლის კოდექსი თავად არ განსაზღვრავს ოდენობებს, ამას ადგენს საქართველოს კანონი ,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“. ზოგიერთ, განსაკუთრებით მძიმე ეფექტების მქონე ნივთიერებებთან მიმართებით, კანონი მცირე ოდენობას საერთოდ არ განსაზღვრავს, რაც გულისხმობს, რომ მისი ნებისმიერი ოდენობა ავტომატურად დიდ დოზად მიიჩნევა.[32]

ოდენობებზე საუბრისას საინტერესოა განვიხილოთ, როგორ განისაზღვრება ოდენობები ერთიანი დანაშაულის და დანაშაულთა სიმრავლის დროს. ერთიანი დანაშაულის სახეებს სსკ-ის მე-13 (დენადი დანაშაული) და მე-14 მუხლები (განგრძობადი დანაშაული) განსაზღვრავს. ამ სახის

[31] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2020 წლის 15 ივნისის მდგ., მუხლი 264

[32] თ. გეგელია და სხვ., ,,ნარკოტიკული დანაშაული“, გამომც. ,,იურისტების სამყარო“, თბ. 2020, გვ. 163

დანაშაულთაგან 264-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნას განგრძობადი სახით. განგრძობადია ორი ან მეტი ისეთი ქმედებისგან შემდგარი დანაშაული, რომლებიც ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით არის მოცული.[33] მაგალითად, ონკოლოგიური ავადმყოფის მომვლელმა გადაწყვიტა, რომ ავადმყოფისთვის გასაკეთებელი მორფინის მთლიანი დოზიდან ყოველ გაკეთებაზე შპრიცში დაეტოვებინა მორფინის ნაწილი და ყოველი სამუშაო დღის ბოლოს მალულად წაეღო სახლში. ამ ქმედებას განაგრძობდა რამდენიმე დღის განმავლობაში. ქმედება დასრულებულია ბოლო ქმედების ჩადენის მომენტიდან. მისი ქმედება ჩადენილია ერთიანი განზრახვით და სწორედ ამას ეწოდება განგრძობადი დანაშაული, რომელიც რამდენიმე ქმედებისგან შედგება და ქმედებებს შორის დროის გარკვეული პერიოდია. ამ პირის მიერ მითვისებული ნივთიერების ოდენობა შეიკრიბება ყოველი ქმედების დროს მითვისებული ოდენობების მიხედვით და კვალიფიკაცია ამის მიხედვით დადგება, მან დიდი ოდენობით მიითვისა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება თუ განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც პირმა ჩაიდინა სსკ-ის 264-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება სხვადასხვა ხერხით დროის გარკვეული შუალედით, მაგალითად, ჯერ ქურდული ხერხით მოიპარა ნარკოტიკული საშუალება, ერთი კვირის შემდეგ კი ყაჩაღური ხერხით მიისაკუთრა სხვა ან იგივე ნივთიერება, მისი ქმედებები ცალცალკე კვალიფიკაციას საჭიროებს, ვინაიდან ეს არ არის განგრძობადი დანაშაული, ერთი განზრახვით არ არის ჩადენილი. ამ შემთხვევაში ოდენობები განისაზღვრება ცალ-ცალკე და საბოლოო სასჯელის დანიშვნის დროს გამოიყენება სსკ-ის 59-ე მუხლი, ანუ სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისთვის. იგივე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით უფრო მკაცრი სასჯელი ფარავს ნაკლებად მკაცრს.

თუ პირის მიერ უკანონოდ მისაკუთრებული ან გამოძალული ნივთიერება შეიცავს რამდენიმე განსხვავებულ და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას, ამ შემთხვევაში იმის გასარკვევად, თუ რა ოდენობისთვის უნდა დავაკისროთ პირს სასჯელი, უნდა მივმართოთ საქართველოს კანონს ,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“. ამ კანონის მე-6 მუხლში ვკითხულობთ: ,,თუ უკანონო ბრუნვიდან ამოღებული პრეპარატი ან ნარევი შეიცავს ორ ან რამდენიმე სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას, ოდენობა განისაზღვრება იმ

[33] ო. გამყრელიძე, ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“, თბ. 2008, გვ. 134

ნივთიერებაზე გადაანგარიშებით, რომლის უკანონო ბრუნვისათვის (დადგენილი ოდენობით) გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მკაცრი ზომა“.[34]

4.2. ქმედება, ჩადენილი ჯგუფის მიერ და ორგანიზებული ჯგუფის მიერ

პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება, როდესაც სსკ-ის 264-ე მუხლის შემადგენლობას ახლორციელებს პირთა ჯგუფი. ვინაიდან ჯგუფური დანაშაული მომატებული საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება, კანონმდებელმა სწორად გადაწყვიტა ასეთ დანაშაულებზე მეტი სასჯელი დაეკისროს ჯგუფის წევრებს. 264-ე მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებებში მითითება გვაქვს წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის ქმედებაზე და ორგანიზებული ჯგუფის ქმედებაზე. ჯგუფურ დანაშაულებში ჯგუფის ტიპის დასადგენად საჭიროა გადავხედოთ სსკ-ის ზოგად ნაწილს, კერძოდ 27-ე მუხლს, საიდანაც განვსაზღვრავთ რა ტიპის ჯგუფის მიერაა აღნიშნული დანაშაული ჩადენილი და შემდეგ დავაკვალიფიცირებთ ჩადენილ ქმედებას 264-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით და პუნქტით. ჯგუფური დანაშაული სამი სახისაა: 1) წინასწარ შეუთანხმებლად მოქმედი ჯგუფი, 2) წინასწარი შეთანხმებით მოქმედი ჯგუფი, 3) ორგანიზებული ჯგუფი.

დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმების გარეშეა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. ესაა ე.წ. წინასწარ შეუთანხმებელი განზრახვა.[35]

ჯგუფური დანაშაულის მეორე სახეა ორი ან მეტი პირის **წინასწარი შეთანხმება** - შეკავშირება დანაშაულის ჩასადენად. ჯგუფური დანაშაულის ეს სახე უფრო საშიშია ვიდრე პირთა ჯგუფის მოქმედება წინასწარი შეთანხმების გარეშე. აქ იგულისხმება, რომ ორი ან მეტი პირის წინასწარი შეთანხმება შესაძლო დანაშაულის ჩადენის შედარებით მყარ პირობას წარმოადგენს. წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ შესაძლებელია დანაშაულის ჩადენის წინასწარი დაგეგმვა, მისი ჩადენის მექანიზმისა და ხერხების შერჩევა, სუბიექტთა შორის როლების წინასწარი განაწილება და ა.შ.[36]

წინასწარ შეთანხმებით ჯგუფი მოქმედებს, როდესაც მინიმუმ ორი პირი მონაწილეობს წინასწარი შეთანხმებით უშუალოდ ქმედებაში, და არა როდესაც ერთი იწყებს მოქმედებას, ვთქვათ, აფთიაქიდან მართლსაწინააღმდეგოდ გამოიტანს ნარკოტიკულ საშუალებას ყალბი საბუთის

---

[34] საქართველოს კანონი ,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ”, 2020 წლის 15 ივნისის მდგ., მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი

[35] მ. ტურავა, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 345

[36] ა. გაბიანი და სხვები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2007, გვ. 223

საფუძველზე და შემდეგ სხვას მიჰყიდის ან გადასცემს უბრალოდ სხვა მოქმედებისთვის. აქ აუცილებელია ორი ან მეტი ამსრულებელი და არ არის საკმარისი მხოლოდ თანამონაწილეობა. საინტერესოა პარალელის გავლება იგივე ხერხით ჩადენილ სხვა დანაშაულებთან, რომელიც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია განხილული. მაგალითად, ქურდობის ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოება არის მისი ჩადენა წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ. თითოეული თანაამსრულებლის მიერ ფარულად დაუფლებული მოძრავი ნივთების ღირებულება იკრიბება და ზარალის ოდენობა ასე განისაზღვრება. საინტერესოა იგივე ქმედების ჩადენის დროს როგორ განისაზღვრება ჯგუფის წევრებზე ოდენობები 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნის მიმართ. ჯგუფის ყოველი წევრის მიერ მისაკუთრებული ნივთიერებების ოდენობები შეიკრიბება და, როგორც ანალოგიურ შემთხვევაში ქურდობის დროს გამოითვლება ზარალის ოდენობა, ასევე გამოითვლება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ოდენობა.

პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ 264-ე მუხლის რომელიმე ნაწილით ან პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას განახორციელებს **ორგანიზებული ჯგუფი**. სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია ორგანიზებული ჯგუფის ცნება მისი რამდენიმე ნიშნის მიხედვით: ა) ჯგუფი დროის განსაზღვრულ პერიოდშია შექმნილი; ბ) იგი მოქმედებს წინასწარ შეთანხმებულად; გ) ჯგუფი სტრუქტურული ფორმის მქონეა; დ) ამ ჯგუფის მიზანი შეიძლება იყოს არა მარტო ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენა, არამედ პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა არამატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება. ორგანიზებული ჯგუფის ცნება გულისხმობს ორგანიზატორის ან ხელმძღვანელის ცნებას. [37]

ორგანიზებული ჯგუფი ბევრად განხვავდება წინა ორი სახის დანაშაულებრივი ჯგუფისაგან, რომლებზეც უკვე ვისაუბრე. მთავარი განსხვავება მათ შორის არის ის, რომ აქ სახეზეა პირთა ჯგუფის ორგანიზებული კავშირი, რომელიც აგებულია მკაცრ საშემსრულებლო დისციპლინაზე, მეტ-ნაკლები ხარისხის როლების მკვეთრ განაწილებაზე, თუმცა ეს ყოველთვის აუცილებელი არ არის. ორგანიზებულ ჯგუფში პირთა კავშირი არა მარტო წინასწარია, არამედ განსაკუთრებით მყარია, იმდენად მტკიცეა, რომ მის მიერ დანაშაულის ჩადენას წინ არაფერი უდგას. იგულისხმება, რომ ორგანიზებული ჯგუფი იქმნება რამდენიმე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ჩასადენად, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ამგვარი ჯგუფი შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩასადენადაც. [38]

---

[37] გ. ნაჭყებია და სხვები, ,,ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბ. 2012, გვ. 23

[38] ა. გაბიანი და სხვები, ,,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, 2007, გვ. 224

264-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ბ“ პუნქტით კვალიფიკაციისას ორგანიზატორსაც ისეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც ამსრულებელს, მიუხედავად იმისა ორგანიზატორი უშუალოდ მონაწილებდა თუ არა ქმედებაში, რადგან დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად არ ჩაითვლება თუ ჯგუფი ორგანიზებული არ იყო ორგანიზტორის მიერ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისთვის ან ხელმძღვანელობისთვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ან ხელმძღვანელობდა ჯგუფს. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. და პირიქით, თუ ორგანიზებული ჯგუფის რომელიმე წევრი არ მონაწილებდა 264-ე მუხლით გათვლისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ის პასუხს არ აგებს ამ დანაშაულისთვის, მიუხედავად იმისა იცოდა თუ არა, რომ ჯფუფის დანარჩენი წევრების მიერ ჩადენილია ასეთი დანაშაული, მაგრამ პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისთვის.[39]

4.3. ქმედება ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით

სსკ-ის 264-ე მუხლის მეორე ნაწილის შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა **ძალადობით, რომელიც საშიში არაა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის, ან ასეთი ძალადობის მუქარით**. აქ მოიაზრება ისეთი ძალადობა, რომელიც არ გამოიწვევს ჯამრთელობის თუნდაც ხანმოკლე მოშლას, მაგალითად, ხელის გადაგრეხვა, თმების მოქაჩვა, სახეში სილის გარტყმა, ანუ რასაც შეუძლია ფიზიკური ტკივილი გამოიწვიოს, მაგრამ შედეგად არ მოჰყვეს ჯანმრთელობის დაზიანება. ასევე, ასეთი ძალადობის მუქარაც დამამძიმებელ გარემოებად იქნება მიჩნეული სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რა ვითარებაში მოხდა დამუქრება ძალადობაზე. ძალადობა შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ ნივთიერების დასაუფლებლად ან დაუფლების შემდგომ ვიდრე ქმედების სუბიექტს მიეცემა დაუფლებული ნივთიერების სრულად განკარგვის შესაძლებლობა.[40]

ამგვარი ძალადობა შესაძლოა თან ახლდეს ძარცვის ხერხით განხორციელებულ ნარკოტიკული საშუალების ან სხვა ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას.

---

[39] ო. გამყრელიძე, ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“, თბ. 2008, გვ. 208

[40] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი”,წიგნი I, მეოთხე გამოცემა, ,,მერიდიანი“, თბ. 2011 წ., გვ. 724

აქვე განვიხილავ მაკვალიფიცირებელი გარემოებას, რომელიც გულისხმობს ამ მუხლის წინა ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედებას ჩადენილს **სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით**. სიცოცხლისთვის საშიში ძალადობა გულისხმობს ისეთ ქმედებას, რომელმაც შესაძლოა დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვიოს. ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა უნდა გავიგოთ, როგორც განმარტებულია სსკ-ის 117-ე, 118-ე, 120-ე და 126-ე მუხლების დისპოზიციებში, ანუ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანე, ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ან ძალადობა. მსგავს ძალადობას სუბიექტი ძირითადად გამოიყენებს 264-ე მუხლის შემადგენლობის ყაჩაღური ხერხით განხორციელებისას. ამგვარმა ძალადობამ თუ გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან დაზარალებულის სიკვდილი, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით. სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარა გულისხმობს მოკვლით დამუქრებას, წამებით ან ცემით დამუქრებას. მუქარა უნდა იყოს იმწუთიერი და დაზარალებული რეალურად უნდა აღიქვამდეს, ანუ დანაშაულის ჩადენის ვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პუნქტით კვალიფიკაციისთვის. თუ პირი ძალადობისას იყენებს ცეცხლსასროლ იარაღს, რომლის ტარების უფლებაც არ აქვს, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით. შესაძლოა პირმა დასამუქრებლად გამოიყენოს სათამაშო იარაღი რეალურის იმიტაციისთვის, მთავარია დაზარალებული აღიქვამდეს მას რეალურდ. ყაჩაღობისგან განსხვავებით, რომლის შემადგენლობაც დამთვრებულია ქმედების დაწყების მომენტიდან, 264-ე მუხლი დამთავრებულად ჩაითვლება ზემოხსენებული ნივთიერებების დაუფლების მომენტიდან.[41]

4.4. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი ქმედება

264-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტით პასუხისმგებლობა მძიმდება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების **სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით** მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისთვის. აღნიშნულ გარემოებაში კანონმდებელი გულისხმობს სპეციალურ სუბიექტს, რომელსაც ხელი მიუწვდება კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებაზე სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით. ამ ქმედების სპეციალური ამსრულებელი შეიძლება იყოს მოხელე და მასთან გათანაბრებული პირი, მაგალითად, ონკოლოგიური საავამყოფოს ექიმი, ექთანი, ფსიქოტროპული აფთიაქის გამყიდველი,

[41] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი”,წიგნი I, მეოთხე გამოცემა, ,,მერიდიანი“, თბ. 2011 წ., გვ. 726

ზემოხსენებული ნივთიერებების წარმოებაში მონაწილე პირი, ან კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ქვეყანაში შემოტანაზე ან გატანაზე უფლებამოსილი პირი, შესაძლოა ამსრულებელი ასევე იყოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, ოპერატიული მუშაკი, აგრეთვე ის პირი, ვისაც ევალება კონტროლის გაწევა აღნიშნული ნივთიერებების განადგურებაზე. ზემოხსენებულ სუბიექტებს ეს ნივთიერება მინდობილი აქვთ მართლზომიერად, თუმცა მათ საკუთრებაში არ იმყოფება. შესაბამისად, უფრო ადვილად მიუწვდებათ ხელი და მარტივად შეუძლიათ მიითვისონ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, როცა მათ, პირიქით, მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კანონის დაცვაზე. მსგავს ქმედებაზე სამოხელეო დანაშაულთა თავით გათვალისწინებული ნორმა არ მოქმედებს, რადგან აქ ქმედების ობიექტი სპეციალურია და ქმედება კვალიფიცირდება სსკ-ის 264-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით და პუნქტით.[42]

ამის მაგალითია ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანალ განაჩენში აღწერილი ქმედება, რაზეც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. კერძოდ, სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელმა, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ნარკოტიკული საშულებების შეძენის, შენახვის, მომზადების, აღრიცხვის და მოხმარებისთვის, ბოროტად ისარგებლა ამ პასუხისმგებლობით და მასზე მინდობილი ნარკოტიკული ნივთიერებები ფარულად მიითვისა. სწორედ ეს შემთხვევა კვალიფიცირდება სსკ-ის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტით, ანუ ქმედება განხორციელებული სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

4.5. არაერთგზის ჩადენილი ქმედება და იმის მიერ ჩადენილი ქმედება, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ნარკოდანაშაულთა თავში გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული

განსახილველი მუხლის შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა **არაერთგზის** ჩადენილი ქმედება. არაერთგზისობა დანაშაულთა სიმრავლის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც განმარტავს სსკ-ის მე-15 მუხლი. კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზისად, როდესაც ეს პირდაპირაა კანონით დადგენილი. არაერთგზის ჩადენილი დანაშაული ნიშნავს, როდესაც ის პირი ჩაიდენს დანაშაულს, რომელიც წინათ ნასამართლევია იგივე ქმედებისთვის. თუმცა აქ მხოლოდ ერთი და იგივე მუხლზე არ არის

[42] ნონა თოდუა, ,,ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა",Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence #2-2003, file:///C:/Users/Win_7/Downloads/1006%20(2).pdf

საუბარი, შესაძლოა კოდექსის ერთი თავის რომელიმე მუხლით ჩადენილი დანაშაული ჩაითვალოს არაერთგზისად, თუ წინათ ის პირი ნასამართლევია იგივე თავის სხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. მაგალითად, სსკ-ის 177 მუხლის (ქურდობა) შენიშვნის თანახმად ამ კოდექსის 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.[43] ასეთ შენიშვნას არ ითვალისწინებს სსკ-ის 260-ე მუხლი, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ 264-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოებად (არაერთგზისობა) ითვლება იმ პირის ქმედება, რომელიც წინათ ნასამართლევია იგივე, 264-ე მუხლით. აქ საინტერესოა, რატომ არ ჩაწერა კანონმდებელმა 264-ე მუხლის შენიშვნაში არაერთგზისობა მაშინ, თუ პირი წინათ ნასამართლევია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულისთვის, თუკი, პირიქით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (177-186-ე მუხლები) მაკვალიფიცირებელ გარემოებად (არაერთგზისობას) მიიჩნევენ იმ პირის ქმედებას, რომელიც წინათ ნასამართლევია 264-ე მუხლით.

პირის მიერ ფაქტობრივად ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა ყოველთვის არ ნიშნავს სიმრავლის არსებობას. შესაძლოა არსებობდეს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო ხასიათის დაბრკოლებები, რომლებიც გამორიცხავენ სიმრავლის არსებობას, როდესაც წინა დანაშაულის ჩადენის სამართლებრივი შედეგები ანულირებულია სხვადასხვა საფუძვლების გამო. მაგალითად, დანაშაულთა სიმრავლეს გამორიცხავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შემთხვევები ქმედითი მონანიების გამო, დაზარალებულთან შერიგების გამო, ვითარების შეცვლის გამო, ხანდაზმულობის ვადების გასვლის გამო, შეწყალების ან ამნისტიის აქტის გამო.[44]

აქვე განვიხილავ 264-ე მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებას, რომელიც ითვალისწინებს მეტ პასუხისმგებლობას იმ პირებისთვის, **ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გთვალისწინებული რომელიმე დანაშაული** და არ აქვს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა, ან არაა გათავისუფლებული კანონით დადგენილი წესით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. აქ პირის მეტი საზოგადოებრივი საშიშროება გამომდინარეობს დანაშაულის საგნის პეციფიკიდან. კანონმდებელი თვლის, რომ პირს ამ შემთხვევაში მიდრეკილება გააჩნია სპეციალურ კონტროლს დავემდებარებული ნივთიერებების მიმართ და რადგან მან ვერ

[43] ო. გამყრელიძე, ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“, თბ. 2008, გვ. 137
[44] ა. გაბიანი და სხვები, ,,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, 2007, გვ. 333

გაანალიზა თავისი წინა დანაშაულები, ამიტომ ეკისრება მეტი პასუხისმგებლობა და მეტი სასჯელი.

264-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წინა ნაწილებით მოცემულ ქმედებას ჩადენილს ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ და გ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რომლებიც ზევითით უკვე განვიხილე. მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ორი ან სამივე პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების შემთხვევაში, კვალიფიკაცია უნდა დადგეს თითოეული მათგანისთვის ცალ-ცალკე, მაგრამ თუ, ვთქვათ, ორგანიზებული ჯგუფი ჩაიდენს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას დიდი ოდენობით, აქ კვალიფიკაცია მხოლოდ მეოთხე ნაწილის შესაბამისი პუნქტით დადგება, რადგან ეს ნაწილი დისპოზიციაში გულისხმობს 264-ე მუხლის დანარჩენ ნაწილებს.

თავი V. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

2019 წლის მსოფლიო ანგარიშში ნარკოტიკების შესახებ ნათქვამია, რომ მსოფლიოში 35 მილიონი ადამიანი განიცდის ნარკოტიკთან დაკავშირებულ პრობლემებს, მაგრამ 7 ადამიანიდან მხოლოდ ერთი მიმართავს მკურნალობას. მოწინავე კვლევებმა და უფრო ზუსტმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ნარკოტიკების მოხმარების ჯანმრთელობაზე უარყოფითი შედეგები უფრო სერიოზული და გავრცელებულია, ვიდრე ადრე თვლიდნენ.[45]

კაცობრიობა ათასწლეულების წინ გაეცნო ნარკოტიკულ საშუალებებს მცენარეების და სოკოების სახით, იყენებდნენ, როგორც გამაყუჩებელ საშუალებას, ასევე, როგორც ,,ტრანსში" შესაყვან საშუალებას, შემდეგ თანდათან გამოჩნდნენ ასეთ ნივთიერებებზე დამოკიდებული ადამიანები. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან არაერთ წყაროშია მოხსენიებული ასეთი საშუალებები და მათი ადამიანზე გავლენა, ამის მიუხედავად მხოლოდ მე-20 საუკუნის დასწყისში დაიწყო ანტი-ნარკომანიის კანონმდებლობის ფორმირება. პირველად აშშ-ს ფედერალურმა კანონმა, რომელიც 1914 წელს მიიღო კონგრესმა, აკრძალა ნარკოტიკების შემცველი მცენარეების კულტივირება, ოპოიდების და კოკაინის ფლობა, გაყიდვა, განაწილება არასამედიცინო მიზნებისთვის და განსაზღვრა სასჯელი იმ ექიმებისა და ფარმაცევტებისთვის, რომლებიც არასამედიცინო მიზნებისთვის იყენებდნენ ნარკოტიკულ საშუალებას.

ნარკოტიკული ნივთიერების გლობალური საფრთხე საერთაშორისო საზოგადოების მიერ თანდათან იქნა აღიარებული. 1912-1972 წლებში დაიდო 12-ზე მეტი მრავალმხრივი ხელშეკრულება ნარკომანიის კონტროლის მიზნით.[46] ყველაზე მეტ მნიშვნელოვან საერთაშრისო აქტებს მოიცავს გაერო-ს კონვენციები, რომლებიც უკვე მიმოვიხილე.

ნარკოდანაშაული არამარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს აღმოუფხვრელი პრობლემაა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ,,გაერო"-ს კონვენციები შექმნილია იმისთვის, რომ მსოფლიო მწყობრად და გამიზნულად ებრძოლოს ნარკომანიას. უცხოური კანონმდებლობის

---

[45] https://www.unodc.org/unodc/ru/frontpage/2019/June/world-drug-report-2019_-35-million-people-worldwide-suffer-from-drug-use-disorders-while-only-1-in-7-people-receive-treatment.html

[46] А.Е. ШАЛАГИН, ЗАРУБЕЖНОЕ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО В СФЕРЕ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ НЕЗАКОННОМУ ОБОРОТУ НАРКОТИКОВ, ,,Актуальные проблемы экономики и права", 2011, ст. 291, https://cyberleninka.ru/article/n/zarubezhnoe-zakonodatelstvo-v-sfere-protivodeystviya-nezakonnomu-oborotu-narkotikov/viewer

ანალიზმა აჩვენა, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს ნარკომანიასთან და ფსიქოტროპულ ნივთიერებებთან დაკავშირებულ საკითხებს. თანამედროვე კანონმდებლების მიდგომები სისხლისსამართებრივი ნორმების დადგენისას ნარკოდანაშაულთან მიმართებით არ არის ერთფეროვანი და ზოგჯერ ფუნდამენტურად განსხვავებულიცაა. სახელმწიფოების კრიმინალური პოლიტიკის დამოკიდებულებას ნარკომანიისა და ნარკომანიასთან ბრძოლის მიმართულებით ჰყოფენ შემდეგ ჯგუფებად:

პირველ ჯგუფში შედიან სახელმწიფოები რბილი (ლიბერალური) კანონმდებლობით. ამ ჯგუფის სახელმწიფოებში შედიან ნიდერლანდები, პორტუგალია, ურუგვაი, ჩეხეთი, შვეიცარია, აშშ, არგენტინა, მექსიკა, ეკვადორი, ხორვატია. ამ ქვეყნებში, როგორც წესი არ არსებობს პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო გამოყენებისთვის, უმნიშვნელო სანქციები არის გათვალისწინებული კანაფის პროდუქტებთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის. ზოგიერთ ქვეყანაში კი ლეგალურად იყიდება სააფთიაქო ქსელებში სამედიცინო კანაბისი.

სახელმწიფოთა მეორე ჯგუფი მოიცავს იმ ქვეყნების უმრავლესობას, რომელთა კანონმდებლობა ორიენტირებულია ნარკომანიის პრობლემის მოგვარებაზე ყველაზე ფრთხილი და განსხვავებული გზებით. ამ ჯგუფში შემავალი ქვეყნების კანონმდებლობით ნარკოდანაშაულისთვის სასჯელი შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის ბუნებას და სიმძიმეს.

მესამე ჯგუფში შედიან ქვეყნები მკაცრი კანონმდებლობით ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებით, ზოგიერთის კანონმდებლობა სასჯელის სახით ითვალისწინებს სამუდამო პატიმრობას და სიკვდილით დასჯასაც კი. ასეთი მკაცრი ნარკოპოლიტიკის მქონე ქვეყნებია, მაგალითად: ბანგლადეში, ვიეტნამი, ირანი, ჩინეთი, კუბა, მალაიზია, ომანი, საუდის არაბეთი, სინგაპური, სირია, ტაილანდი.

მეოთხე ჯგუფში შედიან ქვეყნები, რომელთა ნარკოპოლიტიკა ჯერ ფორმირების ეტაპზეა, კრიმინალური პოლიტიკა არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და პასუხისმგებლობა ნარკოდანაშაულისთვის დგება ინდივიდუალური აქტებით.[47]

ევროპული ქვეყნების კანონმდებლობებში განსხვავებული მიდგომაა არჩეული მსგავს დანაშაულებთან ბრძოლისთვის, ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსი

[47] А.Е. ШАЛАГИН, ЗАРУБЕЖНОЕ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО В СФЕРЕ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ НЕЗАКОННОМУ ОБОРОТУ НАРКОТИКОВ, «Актуальные проблемы экономики и права», 2011, ст. 292, https://cyberleninka.ru/article/n/zarubezhnoe-zakonodatelstvo-v-sfere-protivodeystviya-nezakonnomu-oborotu-narkotikov/viewer

ნარკოდანაშაულებს საერთოდ არ ითვალისწინებს და ასეთი დანაშაულების მოსაწესრიგებლად ცალკე კანონს იყენებს. ზოგიერთი ქვენის სისხლის სამართლის კოდექსში კი ნარკოტიკული საშუალებების და მისთანების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება რეგულირდება არა სპეციალური ნორმით, როგორც საქართველოს კანონმდებლობის შემთხვევაში, არამედ საკუთრებათა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან ერთად.

ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე თავი ეთმობა საზოგადოების ჯანმრთელობის და გარემოს დაცვას, სადაც მხოლოდ ორი, 231-232-ე მუხლები არეგულირებს ნარკოდანაშაულებს ძალიან ზოგადი განმარტებებით.[48] ამ მუხლებში არაფერია ნათქვამის მისაკუთრებაზე ან გამოძალვაზე. ამავე კოდექსის 27-ე თავი ითვალისწინებს სასჯელებს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის. სავარაუდოა, სწორედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ თავში გათვალისწინებული დანაშაულისთვის აგებს პასუხს პირი ნარკოტიკული საშუალების და მისთანების უკანონო მისაკუთრების ან გამოძალვის შემთხვევაში.

გადავხედოთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან რამდენიმე ქვეყნის მაგალითს, ზოგადად ნარკოდანაშაული როგორ არის მათ კანონმდებლობაში მოცემული და მოვახდინოთ კონკრეტულად ჩვენი კვლევის საგანის, სსკ-ის 264-ე მუხლის შედარებითი ანალიზი ამ ქვეყნების კანონმდებლობით გაწერილ შესაბამის ნორმებთან.

5.1. რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მაგალითი

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი ნარკოდანაშაულს აწესრიგებს 25-ე თავში, ,,დანაშაული საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ". ამ თავში მოცემული ნორმები არამარტო ნარკოდანაშაულს ეხება, ასევე მოიცავს სპორტსმენებისთვის სპორტში აკრძალული ნივთიერების გამოყენების აკრძალვას, უკანონო ბორდელების მოწყობის აკრძალვას, პროსტიტუციის აკრძალვას და კიდევ სხვა მრავალ საინტერესო ნორმას, რომელი დანაშაულებიც არყევს საზოგადოებრივ მორალს. ჩვენთვის საინტერესო გახლავთ 229-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მცენარის ან მათი

[48] Lov om straff (straffeloven), fra 01.07.2020

ნაწილის, ან ასეთი ნივთიერებების წინამორბედის (პრეკურსორი) ქურდობას ან გამოძალვას.[49] ამ დანაშაულისთვის სასჯელი განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდი წლის ვადით, რაც ქართული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის ნორმასთან შედარებით უფრო მკაცრია.

რუსეთის ფედერაციის კანონით ,,ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ" ნარკოტიკული საშუალებები განმარტებულია, როგორც სინთეზური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერებები, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და მათი პრეკურსორების ჩამონათვალში შეყვანილი ნარკოტიკები, რომლებიც უნდა კონტროლდებოდეს რუსეთის ფედერაციაში, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხლეშეკრულებებით, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებების შესახებ 1961 წლის კონვენციით.

ფსიქოტროპული ნივთიერებები განიმარტება, როგორც სინთეზური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერებები, ნარკოტიკები, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და მათი წინამორბედების ჩამონათვალში შეყვანილი ნივთიერებები, რომლებიც უნდა კონტროლდებოდეს რუსეთის ფედერაციაში, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ 1971 წლის საერთაშორისო კონვენციით.

ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების წინამორბედში იგულისხმება ნივთიერებები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და მათი პრეკურსორების წარმოებაში, დამუშავებაში, რომლებიც დაქვემდებარებულია სპეციალურ კონტროლს რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად, საერთაშრისო ხელშეკრულებების შესაბამისად, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ 1988 წლის კონვენციით.

ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტრიპული ნივთიერებების ან მათი პრეკურსორების შემცველი მცენარე განიმარტება, როგორც მცენარე, საიდანაც მიიღება ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები ან მათი წინამორბედები და რომლებიც შედის ნარკოტიკების ან

[49] "Уголовный кодекс Российской Федерации" от 13.06.1996 N 63-ФЗ (ред. от 07.04.2020)

ფსიქოტროპული ნივთიერებების ან მათი წინამორბედების შემცველი მცენარეების ჩამონათვალში და ექვემდებარება კონტროლს რუსეთის ფედერაციაში.[50]

ქართული სსკ-ის 264-ე მუხლისგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 229-ე მუხლში არაფერია ნახსენები ახალ ფსიქოაქტიურ და ძლიერმოქმედ ნივთიერებებზე.

საინტერესოა რუსეთის სსკ-ის 229-ე მუხლში ქურდობის განმარტება, ანუ რას გულისხმობს ხსენებული ნივთიერებების ქურდობა. რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში ,,ნარკოლოგიური საშუალებების, ფსიქოტროპული, ძლიერი და ტოქსიკურ ნივთთიერებებითან დაკავშირებულ დანაშაულებში სასამართლო პრაქტიკის შესახებ" ვკითხულობთ, რომ პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ქურდობაზე, ან მათი შემცველი მცენარეების ქურდობისთვის, წარმოიქმნება ფიზიკური ან იურიდიული პირების მიმართ, ამ ნივთიერებების უკანონო მიტაცების შემთხვევაში, ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა ეს ნივთიერებები კანონიერ მფლობელობაში იყო თუ არა.

დანაშაულის საგნის ფლობასთან დაკავშირებით იგივეს გულისხმობს საქართველოს სსკ-ის 264-ე მუხლიც. თუმცა, განსხვავება შემდეგში მდგომარეობს, დანაშაულის საგანის, კერძოდ, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მცენარის ქურდობად ითვლება ასეთი მცენარეების შეგროვება რუსეთის ფედერაციის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოების მიწებიდან, აგრეთვე მოქალაქეების მიწის ნაკვეთებიდან, რომლებზეც ეს მცენარე უკანონოდ იზრდება. ხოლო საქართველოს სსკ-ის მიხედვით, თუ პირმა სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე (იგულისხმება ისეთი მიწები, რომლებიც კონკრეტული პირის ან ორგანიზაციის საკუთრებაშ არ არის, ყველა დანარჩენი მიწა სახელმწიფოს საკუთრებაა) ამოზრდილი ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე მოწყვიტა, ეს ქმედება დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლით (უკანონო შეძენით) და არა ამ მცენარის ქურდობით.

რუსეთის ფედერაციის სსკ-ის მიხედვით 229-ე მუხლის დანაშაულის საგნის გამოძალვის შემთხვევაში დაზარალებულად გვევლინებიან მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ამ პრეპარატებს ან ნივთიერებებს. აგრეთვე ის პირები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გასცენ დოკუმენტი,

[50] Федеральный закон "О наркотических средствах и психотропных веществах" от 08.01.1998 N 3-ФЗ (последняя редакция)

რომლის მეშვეობით შესაძლებელია ნარკოტიკული საშუალების კანონიერად მოპოვება.[51] ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რადგან საქართველოს სსკ-ის 264-ე მუხლი საერთოდ არ თვლის ქმედების შემადგენელ ნაწილად უფლების გამოძალვას, ანუ რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის გამოძალვას, რისი საშუალებითაც სუბიექტი შემდეგ დაეუფლება ნარკოტიკულ თუ სხვა აკრძალულ ნივთიერებას.

ამ მუხლს ახლავს დაახლოებით ისეთივე მაკვალიფიცირებელი გარემოებები, რაც საქართველოს სსკ-ის 264-ე მუხლს. ეს არის ქმედება ჩადენილი:

1. პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე;
2. პირის მიერ ოფიციალური პირის თანამდებობის გამოყენებით;
3. ძალადობის გამოყენებით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;
4. მნიშვნელოვანი რაოდენობით;
5. ორგანიზებული ჯგუფის მიერ;
6. ფართომასშტაბიანად (რაც განსხვავებაა საქართველოს სსკ-ის 264-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოებებისგან);
7. სისცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;
8. განსაკუთრებით დიდი ოდენობით.[52]

5.2. უკრაინის რესპუბლიკის კანონმდებლობის მაგალითი

უკრაინაში ნარკომანიის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას, მომხმარებელი არის ყველა სოციალური ფენის და სტატუსის წარმომადგენელი, ახალგაზრდები, ორივე სქესის წარმომადგენელი თინეიჯერები, გამოჩენილი ადამიანები, წარმატებული ბიზნესმენები, უბრალო დიასახლისებიც კი, და მათ არც კი მიაჩნიათ ეს პრობლემად, ისინი თავს ნარკომანს არ უწოდებენ.

[51] Постановление Пленума Верховного Суда РФ от 15.06.2006 N 14 (ред. от 16.05.2017) "О судебной практике по делам о преступлениях, связанных с наркотическими средствами, психотропными, сильнодействующими и ядовитыми веществами", http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_61074/

[52] "Уголовный кодекс Российской Федерации" от 13.06.1996 N 63-ФЗ (ред. от 07.04.2020)

ახალგაზრდებს რომ ჰკითხოთ, მათ არანაირი დამოკიდებულება არ აქვთ და თამბაქოს მოწევას უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია ადამიანისთვის, ვიდრე ,,ბალახის“ მოწევას.

ნარკოტიკის შეძენა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს არც უკრაინაში და არც სხვა განვითარებად ქვეყანაში. გამსაღებლები ინტერნეტის საშუალებით უკავშირდებიან ახალგაზრდებს და სთავაზობენ სხვადასხვა სიძლიერის და მოქმედების ნარკოტიკულ თუ ფსიქოტროპულ ნივთიერებას. თანხმობის შემთხვევაში მარტივად ხდება თანხის გადარიცხვა გამსაღებლისთვის, ის კი სპეციალურად წინასწარ გათვლილ ადგილას ტოვებს შეკვეთილ ნივთიერებას, ისე, რომ მყიდველთან უშუალო შეხვედრა არც უწევს. ამით გამსაღებლები თავს არიდებენ გაუთვალისწინებელ პრობლემებს და უფრო მეტ ახალგაზრდას აბამენ ნარკომანიაში.[53]

2018 წლის მონაცემებით უკრაინაში ოფიციალურად 500 ათასი ნარკომანია, მათგან 171,6 ათასი რეგულარულად იყენებს ნარკოტიკებს, ყველაზე საგანგაშო კი ისაა, რომ 5 ათასი მომხმარებელი არის ბავშვი, რომელთაც ჯერ 18 წელი არ შესრულებიათ. სტატისტიკა კი, როგორც უმეტეს შემთხვევაში, სრულად არ შეესაბამება რეალობას, უკრაინაში მომხმარებელთა რიცხვი ბევრად მეტია და ყოველწლიურად 5-10%-ით იზრდება.

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 ნაწილი ითვალისწინებს კრიმინალურ დანაშაულებს ნარკოტიკების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, ფსიქოლოგიური სუბსტანციების მათი ანალოგების ან პრეკურსორების შესახებ. ამ ნაწილში ჩვენთვის საინტერესოა 308-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების ან მათი ანალოგების მიტაცების, მითვისების, გამოძალვის, თაღლითობით ან თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით მისაკუთრებისთვის.[54]

ამ დანაშაულის ძირითადი ობიექტია ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების ან მათი ანალოგების მიმოქცევის წესი, რომელიც შეიქმნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმა დამატებით ობიექტში არ მოიაზრებს ქონებას, რადგან ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშული ცალკე კვალიფიცირდება.

[53] НАРКОМАНИЯ В УКРАИНЕ: НЕУТЕШИТЕЛЬНАЯ СТАТИСТИКА, КОТОРАЯ ПОСТОЯННО РАСТЕТ, https://narko-centr.com.ua/narkomanija-v-ukraine-neuteshitelnaja-statistika-kotoraja-postojanno-rastet/

[54] КРИМІНАЛЬНИЙ КОДЕКС УКРАЇНИ, 2001, Редакція від 01.07.2020

დანაშაულის საგანია ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები ან მათი ანალოგები, რომლებსაც განმარტავს უკრაინის სსკ-ის 305-ე მუხლის კომენტარი.[55]

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 305-ე მუხლის მიხედვით ნარკოტიკული დანაშაულის საგანი არის ნივთიერებები, რომლებიც შეყვანილია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სიებში, რომლებიც უკრაინის კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად დაამტკიცა ვერხოვნას რადამ. ჩამონათვალს ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტი.

ნარკოტიკები არის ნივთიერებები, რომლებიც შედის ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის სიაში, კერძოდ, მცენარეები ან ნივთიერებები, რომლებიც ბოროტად გამოყენების შემთხვევაში საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას. ასეთი ნივთიერებებია ჰაშიში, მარუხუანა, ოპიუმი, კოკაინი.

ფსიქოტროპული ნივთიერებები არის ნივთიერებები, რომლებიც შედის ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერებების ჩამონათვალში, ესენი არის ნივთიერებები ან ბუნებრივი მასალები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დამოკიდებულება და დეპრესიული ან მასტიმულიზირებელი მოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ან გამოიწვიოს აღშფოთება აღქმაში, ან ემოციებში, ან აზროვნებაში, ან ქცევაში და ბოროტად გამოყენების შემთხვევაში საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ ჯანმრთელობას. ასეთი ნივთიერებებია, მაგალითად, LSD, Mescaline, tetrahydrocannabinol.

ანალოგებში მოიაზრება ნივთიერებები, რომლებსაც აქვთ ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების მსგავსი თვისებები, მაგრამ ოდნავ განსხვავებული მოლეკულური სტრუქტურა. ასეთი ნივთიერებები არ შედის ცალკე ჩამონათვალში, რომლებიც აკრძალულია უკრაინაში თავისუფალ მიმოქცევაში. ანალოგები არ არის დამტკიცებული, როგორც ნარკოტიკული საშუალებები ან ფსიქოტროპული ნივთიერებები გაეროს საერთაშორისო კონვენციების მიერ და არ გამოიყენება ვაჭრობაში.

პრეკურსორები განიმარტება, როგორც ნივთიერებები და მათი მარილები, რომლებიც გამოიყენება ჩამონათვალში შეყვანილი ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოებაში.[56]

---

[55] Коментар до статті 308. Викрадення, привласнення, вимагання наркотичних засобів, психотропних речовин або їх аналогів чи заволодіння ними шляхом шахрайства або зловживання службовим становищем, http://yurist-online.com/ukr/uslugi/yuristam/kodeks/024/305.php

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის დანაშაულის საგანთა ჩამონათვალი შედარებით მცირეა საქართველოს სსკ-ის 264-ე მუხლის დანაშაულის საგანთა ჩამონათვალთან შედარებით. არც აქ, ისევე, როგორც რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში, ნახსენები არ არის ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, როგორც დანაშაულის საგანი. შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა ამ მხრივ ერთი ნაბიჯით წინ დგას.

უკრაინის სსკ-ის 308-ე მუხლის ობიექტური მხარე გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მათი ანალოგის უკანონო მისაკუთრებას სახელმწიფოს ან კოლექტიური ან სხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საკუთრებიდან, ასევე, ცალკეული მოქალაქეების პირადი საკუთრებიდან. ამ ნორმის განმარტებაში, მსგავსად ქართული ნორმისა, აღნიშნულია, რომ არ აქვს მნიშვნელობა ამ ნივთიერებებს პირი კანონიერად თუ უკანონოდ ფლობდა. უკრაინული სსკ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ხერხებში მოიაზრებს: ქურდობას; ძარცვას; მითვისება; გამოძალვას; თაღლითობით მისაკუთრებას; თანამდებობის პირის მიერ თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით მითვისებას, ყაჩაღობას.

მთავარი სხვაობა საქართველოს სსკ-ის 264-ე და უკრაინის სსკ-ის 308-ე მუხლების ობიექტურ შემადგენლობებს შორის ისაა, რომ 308-ე მუხლისთვის აუცილებელი ნიშანი არ არის დანაშაულის საგნის უსასყიდლო დაუფლება, ამ ნივთიერებების მისაკუთრება ღირებულების ან სხვა ანაზღაურების სანაცვლოდ არ ცვლის უკრაინის სსკ-ისთვის დანაშაულის სოციალურ არსს. ამ დროს კი, საქართველოს სსკ მსგავსი ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებად აკვალიფიცირებს მხოლოდ მათი უსასყიდლოდ დაუფლების შემთხვევაში. 308-ე მუხლის განმარტებაში ნათქვამია, რომ დამნაშავის არაკანონიერი ქმედებები, თუნდაც ნარკოტიკული საშუალებების ან მისთანების საფასურის გადახდით, რომელიც ზიანს არ აყენებს ქონებას, მაინც დაკვალიფიცირდება 308-ე მუხლით.[57]

ასევე, მნიშვნელოვანი განსხვავებაა ის ფაქტიც, რომ უკრაინის სსკ-ის 308-ე მუხლი მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულის საგნის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანს, განმარტებაში ნათქვამია, რომ თუ ეს დანაშაული ჩადენილია მისაკუთრებული ნივთიერების შემდგომ გასაღების მიზნით, მაშინ კვალიფიკაციას საჭიროებს 308-ე მუხლთან ერთად სხვა დანაშაულის მომზადებაც, ან თუ მცდელობა იყო უკვე მისაკუთრებული ნივთიერების გასაღების,

---

[56] Коментар до статті 305. Контрабанда наркотичних засобів, психотропних речовин, їх аналогів або прекурсорів, http://yurist-online.com/ukr/uslugi/yuristam/kodeks/024/302.php

[57] Коментар до статті 308. Викрадення, привласнення, вимагання наркотичних засобів, психотропних речовин або їх аналогів чи заволодіння ними шляхом шахрайства або зловживання службовим становищем, http://yurist-online.com/ukr/uslugi/yuristam/kodeks/024/305.php

მაშინ დამატებით სხვა დანაშაულის მცდელობაც დაემატება კვალიფიკაციას. საქართველოს სსკ-ის 264-ე მუხლისთვის კი მოტივს და მიზანს მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ სასჯელის ინდივიდუალიზაციისას, მაგრამ თუ ფაქტობრივად სხვა დამოუკიდებელი ქმედება განხორციელდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების შემდეგ, დამატებით კვალიფიკაციაზე შემდეგ იქნება მსჯელობა და არა 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშუალის მიზნის განხილვისას.

დანაშაულის სუბიექტი, უკრაინის სსკ-ის 308-ე მუხლის მიხედვით, შეიძლება იყოს ყველა 14 წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი, ასევე ამ მუხლს შეიძლება ჰყავდეს სპეციალური სუბიექტი, როგორც ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოება გულისხმობს - თანამდებობის პირი.

მაკვალიფიცირებელი გარემოებები ორივე ნორმას დაახლოებით ერთნაირი აქვს და მნიშვნელოვანი განსხვავება ამ შემთხვევაში არ არის.

VI. კვლევის შედეგები

კვლევის მიზანი იყო შიდასახელმწიფოებრივი და საზღვარგარეთის კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გამომეკვეთა სსკ-ის 264-ე მუხლის დადებითი და ბუნდოვანი მხარეები. კვლევისთვის გამოვიყენე მატერიალური და ელექტრონული საშუალებები, რომლებიც გავაანალიზე ნაშრომის პირველ თავში. გამოვიყენე ნორმატიული მასალა, როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებები. სიღრმისეულად განვიხილე საკვლევი ნორმის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობები, იქვე განვიხილე რამდენიმე განაჩენი მაგალითის სახით. განვიხილე ასევე, მაკვალიფიცირებელი გარემოებები. ბოლოს კი მოვიყვანე მაგალითები საზღვარგარეთის ქვეყნების ნარკოკანონმდებლობიდან.

ყოველივე ამის შემდეგ გავედი საკმაოდ საინტერესო შედეგებზე, აღმოვაჩინე საქართველოს კანონმდებლობის უპირატესობები, თუ რამდენად მწყობრად არის დალაგებული ნარკოკანონმდებლობა, არამარტო სისხლის სამართლის კოდექსის მაგალითზე, არამედ მთლიანად, ერთიან ჯაჭვში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სსკ-ის 264-ე მუხლის სანქციები შეუსაბამოა ამ დანაშაულის ხასიათთან და საზოგადოებრივ საშიშროებასთან მიმართებით, კანონმდებელი ლოიალური აღმოჩნდა ამ შემთხვევაში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დათქმა ,,მნიშვნელობა არ აქვს დანაშაულის საგანი კანონიერ საკუთრებაში იმყოფებოდა თუ არა“, რიგ შემთხვევებში არასწორად არის განმარტებული სასამართლოს განაჩენებში, სადაც საპირისპიროდ განმარტავს მოსამართლე და ამბობს, რომ 264-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია დანაშაულის საგანი იმყოფებოდეს პირის კანონიერ საკუთრებაში და მაგალითად მოჰყავს სასამართლო პრაქტიკა, რაც ისედაც დაბალ სისხლისსამართლებრივ დევნის მაჩვენებელს უფრო შეამცირებს ამ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. რეალურად გაცილებით მეტია ნარკოტიკული საშუალებების და მისთანების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების და გამოძალვის ფაქტი, მაგრამ ვინაიდან თავად დაზარალებულს აქვს არაკანონიერ მფლობელობაში ასეთი ნივთიერება, ის არ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოს მსგავსი დანაშაულის არსებობისას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა კიდევ ერთი ხარვეზი სასამართლოს განაჩენებში, კვალიფიკაციის ნაწილში, სადაც სსკ-ის 264-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას დამატებით წინა ნაწილებითაც აკვალიფიცირებენ, როცა მე-4 ნაწილის დისპოზიცია ისედაც მოიცავს წინა ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედებებს და მათი დამატებით კვალიფიკაცია აღარ უნდა მოხდეს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ნარკოდანაშაულთა თავში მოცემული, ქმედების ჩადენის ხერხებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსგავსებები და განსხვავებები ანალოგიური ხერხებით ჩადენილ დანაშაულებთან. შედეგად გამოიკვეთა, რომ ქმედების ძირითადი შემადგენლობები საერთო აქვთ საკვლევ მუხლს და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში მოცემულ შესაბამის მუხლებს. ერთი ძირითადი განსხვავება არის ყაჩაღობის შემადგენლობასთან, რასაც 264-ე მუხლი მოიაზრებს სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ჩადენილი ქმედების დროს, ეს განსხვავება მდგომარეობს დანაშაულის შედეგიანობაში, ანუ ყაჩაღობა ფორმალური ხასიათისაა და შედეგის დადგომას არ საჭიროებს კვალიფიკაციისთვის, ხოლო 264-ე მუხლი მატერიალური ხასიათისაა და კვალიფიკაციისთვის აუცილებელია შედეგის დადგომა.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობიდან კვლევისთვის საინტერესო იქნებოდა ისეთი ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის განხილვა, რომელთაც გარკვეული ტიპის ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზება მოახდინეს, თუმცა, სამწუხაროდ დამაბრკოლებელი გარემოებების გამო, სიღრმისეულად ვერ შევძელი ასეთი ქვეყნების კანონმდებლობა გამომეკვლია. არანაკლებ საინტერესო და მრავალი ინფორმაციის მომცემი აღმოჩნდა იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომლებიც მაგალითისთვის განვიხილე. განსხვავებები და მსგავსებები გამოიკვეთა კვლევის შედეგად სსკ-ის 264-ე მუხლთან მიმართებაში. საინტერესოა, რომ უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებად აკვალიფიცირებს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ამ ნივთიერებების მისაკუთრება ხდება საფასურის გადახდით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 264-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია დანაშაულის საგანი მისაკუთრებული იყოს უსასყიდლოდ, ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა სსკ-ის ერთ-ერთი საინტერესო ნორმაა კვლევისთვის, ვინაიდან ის მოიცავს ორი ტიპის დანაშაულს. მეტად მნიშვნელოვანია ამ ნორმის შემადგენლობის სწორად განმარტება, რადგან პრაქტიკაში ვხვდებით შეცდომებს, რაც აქვეითებს ამ ნორმის მნიშვნელობას.

სსკ-ის 264-ე მუხლსა და საკუთრების წინააღმდეგ მიმრთულ დანაშაულთა თავში მოცემულ ნორმებს შორის არის მცირედი სხვაობები, გარდა დანაშაულის საგნისა, რაც სპეციალური ნორმის სახით წარმოადგენს 264-ე მუხლს. ეს სხვაობები (მაგალითად, განსხვავება ყაჩაღობის შემადგენლობასთან) გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ქმედების კვალიფიკაციისას და საჭიროა ქმედების ყოველი დეტალის სწორად გააზრება შეცდომის თავიდან აცილების მიზნით.

რაც შეეხება სსკ-ის 264-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სასჯელს, ის შეუსაბამოა დანაშაულის საშიშროებასთან შედარებით და კანონმდებელმა უნდა გამოასწოროს ეს შეცდომა, ვინაიდან იბადება უსამართლობის შეგრძნება ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შეძენის და ამავე საშუალების მოპარვისთვის დაწესებულ სასჯელებს როცა შევადარებთ, ცხადია, ქურდობა უფრო მეტი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება ვიდრე საფასურის გადახდით შეძენა და სასჯელებიც შესაბამისი უნდა იყოს.

საზღვარგარეთის კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა ნარკოდანაშაულის კუთხით, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობასთან შედარებით, საკმაოდ მწყობრად და მიზანმიმართულად არის დალაგებული. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი, მართალია ცალკე თავში არ ითვალისწინებს ნარკოდანაშაულებს, მაგრამ ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი სტრუქტურა. ყველაზე საინტერესო მაინც საფრანგეთის ნარკოპოლიტიკაა, რომელიც განსხვავებული მეთოდებით ებრძვის ნარკომანიას, ერთი მხრივ მკაცრი სასჯელია ნებისმიერ ნარკოდანაშაულზე, ხოლო მეორე მხრივ ნარკომანიით დაავადებულ პირებს უწევს ისეთ მომსახურებას, რომელიც სხვა არცერთი ქვეყნის კანონმდებლობის განხილვისას არ გვხვდება.

მსოფლის თითოეულ ქვეყანაში ნარკოპოლიტიკის სწორ წარმართვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ნარკომანიის დამარცხებისთვის. საჭიროა არა მხოლოდ ხელშეკრულებების და

შეთანხმებების დადება, არამედ ოჯახიდან და საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან დაწყებული, თითოეული მხარე უნდა იყოს ჩართული ბავშვის სწორ და ჯანსაღ აღზრდაში, რათა პიროვნება ჩამოყალიბდეს გაწონასწორებული ფსიქიკით და არ გაუჩნდეს მიდრეკილება არაფხიზელ მდგომარეობაზე.

მხოლოდ მკაცრი სასჯელი არ იქნება არცერთი სახელმწიფოსთვის პრობლემის რეალურად აღმოფხვრის საშუალება, ნარკომანია მხოლოდ დანაშაული არ არის, ნარკომანია დაავადებაა. თუ მკაცრი კანონმდებლობით პირი ვერ შეძლებს ნარკოტიკის შეძენას, ის სხვა მეთოდებით შეეცდება მის მოპოვებას და სწორედ მაშინ იწყებს ჩვენი განსახილველი ნორმა მოქმედებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალავიძე ს. და სხვები, ,,ნარკოვითარება საქართველოში, წლიური ანგარიში 2013, თბ., 2015;
2. გაბიანი ა. და სხვები, ,,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბ., 2007;
3. გამყრელიძე ო., ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“, თბ. 2008;
4. გეგელია თ. და სხვები, ,,ნარკოტიკული დანაშაული“, თბ., 2020;
5. დვალიძე ი., ,,ნარკოტიკული დანაშაულის საგანი ქართული სისხლის სამართლის მიხედვით“, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 3/2019;
6. თოდუა ნ., ,,ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა“, სტატია, Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence #2-2003;
7. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., ,,სისხლის სამართლისკერძო ნაწილი”,წიგნი I, მეოთხე გამოცემა, თბ., 2011;
8. ლობჟანიძე გ., ,,საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა“, ქუთაისი, 2002;
9. ლომსაძე მ., ,,საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014;
10. ნაჭყებია გ. და სხვები, ,,ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბ., 2012;
11. ტურავა მ., ,,სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა)“, მეშვიდე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2008;
12. ტურავა მ., სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), მეცხრე გამოცემა, თბ., 2013;
13. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (განსაკუთრებული ნაწილი), თბ., 2013;
14. შენგელია ა., დოლიძე თ., ,,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო)“, თბ., 2016.

უცხოური ლიტერატურა:

15. А.Е. ШАЛАГИН, ЗАРУБЕЖНОЕ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО В СФЕРЕ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ НЕЗАКОННОМУ ОБОРОТУ НАРКОТИКОВ, Актуальные проблемы экономики и права, 2011;

16. Постановление Пленума Верховного Суда РФ от 15.06.2006 N 14 (ред. от 16.05.2017) "О судебной практике по делам о преступлениях, связанных с наркотическими средствами, психотропными, сильнодействующими и ядовитыми веществами";

17. "Уголовный кодекс Российской Федерации" от 13.06.1996 N 63-ФЗ (ред. от 07.04.2020);

18. Федеральный закон "О наркотических средствах и психотропных веществах" от 08.01.1998 N 3-ФЗ (последняя редакция);

19. КРИМІНАЛЬНИЙ КОДЕКС УКРАЇНИ, 2001, Редакція від 01.07.2020

20. Lov om straff (straffeloven), fra 01.07.2020

ნორმატიული აქტები:

21. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;

22. საქართველოს კანონი ,,ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, 2012;

23. საქართველოს კანონი ,,ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“, 2014;

24. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984;

25. საქართველოს კანონი ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, 2007;

26. გერო-ს 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ;

27. გაერო-ს 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა თაობაზე;

28. გაეროს 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ვებ. გვერდები:

1. http://www.nplg.gov.ge

2. https://police.ge

3. http://www.library.court.ge

4. http://dgstz.de

5. https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com

6. https://gttu.ini.ge
7. https://matsne.gov.ge
8. http://ecd.court.ge
9. https://cyberleninka.ru
10. https://www.unodc.org
11. http://www.consultant.ru
12. https://narko-centr.com.ua
13. http://yurist-online.com
14. https://www.lexpress.fr
15. https://zakon.rada.gov.ua
16. https://www.drogues-info-service.fr